

Հայոց մ. արքայական բանակ համար № 60.

ԽԱՅԱՏԵՐՆԵՐ

ՂՈՐԾԵԲՈ

38816

ՀԱՅԱՏԵՐՆԵՐ

Ը. Առաջարկական Ֆախ.



ՀԱՅԱՏԵՐՆԵՐ

Արքայի մ. արքայական բանակ

1896



Лодка сказки

Доз. Цензурою Тифлисъ, 2 Декабря 1895 года.

## საბერძნეთის ბრძოლის დიღგვენი

### I

#### სოკრატის მოწაფენი.

ბერძნების მასწავლებელი სოკრატი გირდაი-  
ცვალა ქალაქ ათინაში. თანახმად მსაჯულთა  
დადგინდებისა მან მამაცურად და მშეიდად დალია  
თასით საწამლავი. ეს იყო ოთხასი წლის წინად  
ქრისტეს დაბადებამდის. დამსჯელნი სოკრატის  
ფიქრობდნენ, რაკი სოკრატს მოვკლავთ, გაგვი  
აღვილდება, ცხოვრება ვინაიდგან, სხვა აღარავინ  
გამოჩნდება. ჩვენი სინიდისის მღვიძებელი და  
თავისუფლად შეგვეძლებათ უწინდებურად ვი-  
ფართაშოთ ცოდვების მორევში. შავრამ სოკრა-  
ტის მიერ თქმულნი სიტყვანი არ გაჰქრენ  
უნაყოფოდ. სოკრატის სწავლა მოძღვრობა ბე-  
ვრმა შეიგნო და შეითვისა. აი რას ასწავლიდა  
სოკრატი: ადამიანი იტანჯება თავის გაუგებრო-  
ბით, იტანჯება იმიტომ, რომ ყურს არ უგდებ ს  
სინდისის მხილებას. ეს ხმა სინდისისა ადამიან-  
შივეა და მარად მზად არის უშველოს მას. მხი-  
ლოდ მჭრტო იმას შეუძლია ბედნიერი იყოს,  
ვინც უჯერის და ემორჩილება სინდისის მხილე-

ბას. სინდისი ამხელს კაცს, რომ ის ვალდებულია იცხოვროს არა თავის ნდომათათვის, არა მეღ იმისთვის, რომ სხვებს უშველოს, გარნა აღამიანს ხელს უშლიან იმისი ბიწიერნი ვნებათ-ღელვანი, რომელთაც ის ვალდებულია ძედ-გრად ებრძოდეს. მხოლოდ მარტო იმა გჭირ შეიძლება კაცმა მიაღწიოს უმაღლეს სიკეთეს და ბეღნიერებას. ამის მისაღწევათ ბევრი ცოდნა არცა საჭირო, მით უმეტეს, რომ ბევრის ცოდ-ნა ჩვენ არც კა შეგვიძლია. გარდა ამისა კა-ცის ბეღნიერება რომ ბევრის ცოდნაზე იყოს დამყარებული, მაშინ ვინ უნდა გახდეს ბეღნიერი? მხოლოდ ის, ვისაც ბევრი ფული აქვს, ვისაც შეუძლია შეისწავლოს მეცნიერება, დაიგირაოს მასწავლებლები და იაროს მაღალ სასწავლებ-ლებში, მაგრამ ამ ნაირი მდიდარნი და მოცული-ლნი ცოტანი არიან და მათ შორისაც ძლიერ ცოტანი მოიპოვებიან ბეღნიერნი.

უმთავრესი სწავლა მასში მდგომარეობს, რომ გავიცნათ თავისი თავი. ამისთვის არავითარი ნივ-თიერი ხარჯი საჭირო არ არის; საჭიროა მხო-ლოდ ყურის დაგდება სინდისის შინაგან მხი-ლებისა, რომელიც ეუბნება კაცს, თუ რო-გორ უნდა ცხოვრობდეს ის, როგორ უნდა ეჭცეოდეს სხვათა და რასშია მისი ბეღნიერება.

სგრე ასწავლიდა სოკრატი და მრავალნი მოწაფენი მიიჩიდა. მოწაფეებს უყვარდათ სოკრატი, როგორც მამა და მწარედ სტირდნენ, როცა ის კვდებოდა. სოკრატი კი სიკვდილის ფამს არიგებდა მათ, რომ არ ემწუხრნათ, ვინაიდგან კარგათ იცოდა, რომ იმ საწამლავს, რომელსაც ის მიიღებდა, არ შეეძლო მასთან ერთად მოეკლა და გაექრო ის ჭეშმარიტება, რომელიც მან შეიგნო და ადამიანთ გარდასცა.

სოკრატი ასწავლიდა უბრალოდ, ნათლად და ყველა მასთან მოსაუბრეს ბრძნულ რჩევას აძლევდა, მაგრამ სოკრატის სიტყვათაგან მოწაფენი იმახსოვნებდნენ მხოლოდ მას, რაც თვითონეულ მათგან ისოვინ უფრო გამოსაღევი იყო, რაც უფრო უახლოვდებოდა მათ საკუთარ ცხოვრებას, მთელი სოკრატის სწავლა-მოძღვრებისაგან თვითონეული მოწაფე ბეჯითად იმახსოვნებდა მხოლოდ მას, რაზედაც თვითონ უფრო ჩაფიქრებულიყო; და ფიქრობდა, რომ მასწავლებელი მხოლოდ ამაზეც ესაუბრება მას, აშეს გამო თავის მასწავლებლის მოძღვრების სხვა-და-სხვა მხარეებს კი ივიწყებდა. ამიტომაც როდესაც მოწაფენი ერთად შეგროვდებოდნენ, თუ მათ შორის სოკრატი არ იქნებოდა, კამათობუნენ მასზედ, რომელ იმათვანს უკეთ ეს-

მის სოკრატი და იმისი სწავლა.

სანამ სოკრატი ცოცხალი იყო, მოწაფეებს აკავშირებდა ურთიერთშორის საერთო სიკუპარული მისდამი, მაგრამ იმის სიკედილის შემდეგ მათ შორის ჩამოვარდა განხეთქილება და მტრობა, განსაკუთრებით მათ შორის, რომელთაც, სოკრატი პირადათ არც ენახა და არც ესმინა მისი საუბარი, არამედ იმისი სწავლა-მოძღვრება გაეგო სხვა პირთაგან. თვითონეული მათგანი თავისებურად ასწავლიდა და არწმუნებდა, ვითომ სოკრატიც ამასვე ამბობდაო. აქედგან გამოდიოდა, ვითომ სოკრატი ხან ერთს ამბობდა და ხან მეორეს, ერთი მეორის წინააღმდეგს. ამის გამო კამათობდნენ და მტრობდნენ, სოკრატის მოძღვრების სხვა-და-სხვა მიმდევარნი.

დიდი ხნის შემდეგ აღამიანნი მიხვდნენ, რომ სოკრატს აზ შეეძლო ესწავლებინა ის, რის გამოც აგრე კამათობდნენ და მტრობდნენ ისინი მაშინ მათ დაიწყეს სოკრატის სწავლა-მოძღვრების საფუძვლიანად გამოკვლევა და მართლაც გრანივრულად და რიგიანად შეიგნეს იმისი მოძღვრება.

როცა სოკრატი გარდაიცვალა, მაშინ კი მის მოწაფეთა შორის აგეთი ერთობა როდი იყო.

მრთმა იმის მოწაფეთაგანმა, პლატონმა, რომელიც იყო მდიდარი და გამოჩენილი შთა- მომავლობათ, და რომელსაც სოკრატი მეტად უყვარდა, კარგათ გაიგო ერთი ნაწილი სოკრატის სწავლისა და ჭიდევაც ჩასწერა იგი. სოკრატის სწავლა-მოძღვრებისაგან მას ყველაზედ უფრო მოსწონდა სიტყვანი სოკრატისა მასზედ, რომ ცხოვრება საჭიროა საზოგადო სიკეთისათვის, ე. ი. კაცი უნდა ცხოვრებდეს ისთე, რომ თა- ვისი ცხოვრებით რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოუტანოს ხალხს. პლატონმა დაიწყო სჯა მასზედ, თუ რა არის ეს საზოგადო სიკეთე, საიდგან წარმოსდგა ისა, ვინ გააჩინა ისა, საი- დგან წარმოსდგა მთელი ქვეყნიერება და სხვა. ის იყო ძლიერ გონიერი და მჭერმეტყველი და ბევრი წიგნები დასწერა. მაგრამ პლატონმა ვერ შეასრულა უპირველესი ანდერძი თავისი გასწავლებელისა. ის ისევ მდიდრად და დიდება- დ დარჩა, და ამიტომ ვერ გახდა ძმად საწ- ყალი მუშა ხალხისა. მდიდარ ბერძენთ უყვარ- დათ იმისი ყურის გდება, აჩუქეს მას ერთა ნა- კვეთი მიწა და აუშენეს ზედ სახლი. იქ დადი- ოდნენ მრავალნი მდიდარნი და გამოჩენილნი გვარისანი სასწავლად. დარიბთათვის კი იქ აუ- გილი არ იყო. ეს სკოლა იწოდებოდა აკადემიად

მეორე მოწაფე სოკრატისა იყო არისტიპი, ესეც მდიდარი და გამაჩენილი გვარისა. მას ბევრჯერ სმენია სოკრატისაგან, რომ ვინც სტკბება სხვა-და-სხვა სიამოვნებითა არა ზომიერად, გემრიელიდ სჭამს და სვამს, მეჯლიშობს, დადის სხვა-და-სხვა თვალის სასეიროებზე, მას ადრე მობეზრდება ყოველივე ესა, და გახდება ყოველიდ უბედურ კაცად. ამნაირ კაცისათვის ყოველი შრომა სამძიმარია, და თვით სიამენიც კი აღარ ახარებენ, არამედ მას იპყრობს ნალველი და მოწყენილობა. ის კი, ვინც მთელ თავის სიცოცხლეს ატარებს შრომაში, ცოტა-ოდენ სიამესაც დიდ სიხარულიდ სთვლის და ადვილათაც შეუძლია დარღი და ნალველის თავიდგან მოშორება. არისტიპმა თავისებურად გაიგო ეს სიტყვები. იმან დაიწყო ცხოვრება თავის სიამოვნებისათვის, მაგრამ ისე, რომ არა-სოდეს არ გამძლარიყო სიამოვნებითა, არ მობეზრებოდა. ამისთვის ის ცდილობდა ყოველივე სიამოვნებას და დროს გატარებას ზომიერად მისცემოდა.

სხვათრივ, ამბობდა იგი, ცხოვრება ჩირად არა ღირს, თუ არ თავის სიამოვნებისათვისო.

ძირევ ჰყავდა სოკრატს მოწაფე, სახელუობანტისფენი, ის არ იყო დიდი გვარიშვილისა.

დედა იმისი იყო უცხოელი. ბერძნებს ქ.  
ათინაში ჩვეულებად ჰქონდათ, რომ სამსახური -  
ში ადგილს აძლევდნენ მხოლოდ მას, ვისიც  
მშობელნი ათონის ძირითადნი მცხოვრებნი  
იყვნენ. ყველა დანარჩენთ შეეძლოთ ის ემოქ-  
მედა, ვისაც რა სურდა: ვაჭრობა, ანუ ხელოს-  
ნობა; სამართველოში კი არ მაილებდნენ. ან-  
ტისფენს არ შეეძლო ვაჭრობისთვინ ხელი მო-  
ეკიდა, ვინაიდგან თავისი თანხა არ ჰქონდა,  
სასარგებლო ხელოსნობაც არა იცოდა რა. ამი-  
ტომ მას წილად ხვდა პური არსებისა მოეპო-  
ვა უბრალო შავი მუშაობითა. იმას ჰქონდა დი-  
ლი სურვილი და მისწრაფება სწავლისადმი და  
თავისუფალ დროს დადიოდა სხვა და სხვა ათი-  
ნის მასწავლებლებთან. როცა მან სოკრატის  
სწავლა მოისმინა, ყველა სხვა მასწავლებლები  
მიატოვა და მას დაუკავშირდა ისე, როგორც  
შვილი მამას.

ანტისფენი სცხოვრებდა ქ. პირებაში ათი-  
ცერსის მანძილზე ათინიდგან, და ყოველ დღე  
დადიოდა სოკრატთან ათინაში, რომ მოესმინა  
იმისი სწავლა ცხოვრების შესახებ. ანტისფენი  
სცხოვრებდა დიდ სიღარიბეში, და მისთვის დია-  
ხაც ძვირფასი იყო ისა, რომ სოკრატს არა  
სძულდა დარიბნი და მონანი, არამედ ასწავლი-

და, რომ გვიყვარდეთ ისინი, და ყველა ადამიანი, როგორც ლარიბთ, ეგრე მღიდართ, ვრაცხდეთ თვის ძმებადა. სოკრატის სწავლა-მოძღვრებისაგან ანტისფენმა შემდეგი შეიგნო: ყოველი ადამიანი უნდა ცხოვრებდეს ისე, რომ სელარიბეში და გაჭივრებაშეც ბედნიერად უნდა გრძნობდეს თავს. გაიგო რა ეს ანტისფენმა დაიწყო სწავლება ლარიბთა, მონათა და სხვათა.

სოკრატის სიკედილის შემდეგ ანტისფენმა დაიწყო ხალხის სწავლება ერთ თავისუფალ და ლოპით შემოზღუდულ ადგილას, საღაც მის სასმენად გროვდებოდნენ ისინი, ვისაც აკადემიაში არა ლებულ ობდნენ. ეს ადგილი იწოდებოდა ბერძნულად „კინოსარხი“, რაიცა ქართულად ნიშნავს: ადგილი ძალლებისა.

ანტისფენი ასწავლიდა, რომ ბედნიერება არა მდგომარეობს კიმდიდრეში, არცა გამშვენიერებულ სრა-სასახლეებში, არცა ჭამა-სმაში და არცა მაღალ წოდებაში.

ბედნიერება,—ამბობდა ისა, — თვით ადამიან-შივეა, მის შინაგან არსებაში. ბედნიერებისთვის და ადამიანის სულის სიმშვიდისათვის საჭიროა სათნოება. ბრძენი ადამიანი მხოლოდ მასში ეძიებს თავის კეთილ მდგომარეობასა, და არა

მიხედავს მას, ამის გამო გაჰყიცხვენ თუ პატავ  
სა სცემენ მას. ის ემსახურება თავისს სინდისს  
თავის ღმერთს და არა ჰფიქრობს სხვა რაიმე  
სიკეთეზე. სცხოვრებდე, რაც შეიძლება უბრა-  
ლოდ და ღარიბულად და თავისი სხეულის-  
თვის ცოტათი უნდა კმაყოფილებდე. მაშინ  
ცოტათი საჭიროებ სხვათა შემწეობაში და ცო-  
ტაოდენ დამოკიდებული ხარ მათგან. აღამიანი,  
რომელიც აგრე სცხოვრებს, არა საჭიროებს  
მთარველობასა ძლიერთა ამა ქვეყნისა, არცა  
სიმდიდრესა და არცა დიდსა განსწავლისა. მხო-  
ლოდ ის იქნება მშვიდი და მხიარული, ვინც  
შესძლებს დათრგუნოს თავისთავში ყოველივე  
მედიდურება და ყოველნი ნდომანი. მხოლოდ  
ამაშიდ მდგომარეობს სიბრძნე აღამიანისა. და  
რომ ამნაირ ბრძენ აღამიანებად გავხდეთ, საჭი-  
რო ყური უგდოთ სმასა სინდისისა და გონე-  
ბისესა. ხდა სინდისისა ყოველთვის ამხელს აღა-  
მიანს, როცა ის სწორ გზიდგან უხვევს, მხო-  
ლოდ საჭიროა, არ წაუყრუოთ მას. ერთი სიტ  
ყვით, ანტისფენი თვის მოწაფეებს არწმუნებდა  
მიეტოვებინათ თაყვანის ცემა წარმართთა ღმე  
რთებისა და უქადაგებდა იმ ღმერთზე, რომე-  
ლიც სცხოვრებს ყველა აღამიანის სულსა და  
გულში.

აგრე ასწავლიდა ანტისფენი და თავისი ცხოვრებით მაგალითს აჩვენებდა, რა ცოტას საჭიროებს ის ადამიანი, ვასაც სურს გონივრულად იცხოვროს. მას არა ჰქონდა თავისი საკუთარი თავშესაფარი, დადიოდა ის, როგორც ღატაკი, დაგლეჯილ ტანის-სამოსში, ყავარჯინით ხეობი და თოფტრით იღლიაში ამოდებული. მას თან დადიოდა ხალხი და მისგან სწავლობდა ნამდვილ ცხოვრებას.

ანტისფენის ერთმოწაფეთაგანი იყო დიოგენი.

## II.

### დიოგენი ხდება მოზაფედ ანტისფენისა.

შოველ დროს და ყველა ხალხს ჰყოლია ბრძენი მასწავლებელნი, რომელნიც ასწავლი-დნენ მას და უჩვენებდნენ. სწორ გზას ცხოვ რებისას. ბევრი მათვანის სწავლა-მოძღვრება ჩვენამდისაც მოაჰწია. როდესაც ჩვენ მათ ნაწარ-მოებს ვკითხულობთ, ხშირად ვივიწყებთ, თუ რა შრომა და რანაირა წვალება მოუნდათ მათ ჭეშმარიტების შესაგნებად. ჩვენ გვგონია, რომ ის ბრძენი, ეგრედაიბადნენ ბრძნებად, ზოგჯერ

კიდევაც შეგვშურდებათ, რასთვის ჩვენც ისეთ-  
ნივე არ დავიბადენით. უმეტეს ნაწილათ კი  
სიყმაწვილე ამნაირ აღამიანებისა და პირველნი  
წელნი მათი მოწიფულობისა ყოფილან ძლიერ  
ქარიშხლიანნი, არა მსგავსნი მისა, რასაც ისინი  
შემდეგში ასწავლიდნენ. რაკი ჩვენ გავიგებთ  
ამათ უწინდელ ცხოვრებას, მაშინ ვსცნობთ,  
რა მძიმე შრომით გამოთელეს იმათ ჭრიარიტს  
გზაზე და იწყეს სვლა მასზედ. აი რაისთვის  
არის საგულისხმიერო ცოდნა მათი ცხოვრები-  
სა. როდესაც ჩვენ ვკითხულობთ მათ ცხოვრე-  
ბას, შევიგნებთ, რომ ჩვენი ცხოვრება ხდება  
ცუდათ ანუ კარგათ არა მიტომ, რომ ჩვენ ეგ-  
რე ვიბადებით, არამედ მისგან, რაფდენათ ჩვე-  
ნა გვაურს და ვშრომობთ გავაუმჯობესოთ  
თავისი თავი.

დიოგენსაც ასე შოუვიდა.

ის დაიბადა ჭ. სინოპში, შავი ზღვის პირ-  
ზე, ოთხას თოთხმეტი წლის წინედ ქრისტეს  
დაბადებამდის. ეხლა ეს ქალაქი ოსმალთ ეკუ-  
თვნით, მაშინ კი ბერძნების იყო. მასში ცხოვ-  
რებდნენ ბერძენნი, თავის სამშობლოდგან. ვად-  
მოხვეწილნი. სინოპი ეხლა პატარა, ტალახია-  
ნი ქალაქია, დიოგენის დროს კი ჰყვაოდა და

დიდი აღებ: მიცემა ჭრონდა. ამ ქალაქში მამა  
დიოგენისა, იცესი იყო ზარაფი და დიდ ფულს  
ატრიალებდა; ფულების ახლო ადამიანის ვა-  
ფუქება აღვილია, ცდომილება დიდია. ფულით  
ყოლისფრის ყიდვა შეიძლება. ფული ადამიანს  
გაიტაცებს და ბევრი ადამიანი იღუპება მისგან  
იცესიც ძლიერ გაიტაცა ფულებმა და ერთბაშათ  
გამდიდრების მაღა აღუძრა. მან დაიწყო ყალ-  
ბი ფულების ჭრა. მამას შვილიც მიჰყეა და  
ორთავ იწყეს ყალბი ფულების კეთება. მაგრამ  
ეს საქმე დიდხანს ვერ აწარმოვეს. ერთხელ მუ-  
შა გააჯავრეს, რომელმაც სასამართლოშა დაა  
სმინა ისინი. იცესი დაიჭირეს და საპყრობილე-  
ში დაამწყვდიეს და იქვე გარდიცვალა, შვალი  
იმისი კი გაიქცა ქალაქიდგან.

ამ დროს დიოგენი მოწიფული იყო. მან  
დაიწყო სხვა და სხვა ქალაქებში ტანტალი. და  
ოდნავ კიდეც მუშაობდა აქა-იქ, ოვისუფალ  
დროს ფიქრობდა მასზედ, სცხოვრებს ის, რო-  
გორც საჭიროა, თუ არა.

ბევრი პაზრი ტრიალებზა მის თავში, გარ-  
ნა ერთი მეორეში ერეოდა, და მისთვის ძლიერ  
საძნელო იყო გამოერკვია რაიმე, და თუ ვინ  
მეს მიმართავდა, არავინ არა შველოდა. ზოგს  
მისი არა ესმოდა რა, ზოგნიც დასკინოდნენ,

ზოგთ ემრალებოდა ისა და ამბობდნენ „მაგისა-  
გან სახეირო არა გამოდგება რა, ჰკუა თავიდ  
გან გამოსვლაო“.

ხოლო დიოგენი გრძნობდა, რომ ადამია-  
ნი აგრე მიტომ ამბობდნენ, რომ თვით არა სკ-  
ხოვრებენ ისთე, როგორც საჭიროა და არა  
იციან, რასში მდგომარეობს სიბართლე.

ამნაირი პაზრებით გამსჭვალული დიოგე-  
ნი მივიღდა ქ. ათინაში. მას დიდიხანია გაგონი-  
ლი ჰქონდა, რომ ამ ქალაქში, ცხოვრებდა ბრ-  
ძენი სოკრატი, რომელიც ასწავლიდა ხალხს,  
როგორ უნდა ცხოვრება. მას ისიც გაგონილი  
ჰქონდა, რომ ეს მასწავლებელი, რომელიც  
ხალხს მეტად უყვარდა და არ მოსწონდათ მხო-  
ლოდ მსაჯულთა და მართველთ, დასჯილ იქმ-  
ნა, როგორც დიდი დამნაშავე, ეხლა კი მის  
ნაცვლად ხალხს ასწავლიდნენ მოწაფენი მისნი.  
დიოგენმა დაუწყო ყურის გდება მათ სწავლას  
და ყველაზედ მეტად მას მოსწონდა ბრძენი  
ანტისფენი.

ამ დროს ანტისფენს მოწაფეთა რიცხვი  
შეუმცირდა. რასაც ანტისფენი ასწავლიდა, იმა-  
სი შესრულება მათ ძნელად ეჩვენათ. ამავე  
დროს ანტისფენიც მეტად დანაღვლებული  
იყო, სულით და ვულით სწუხდა დაკარგვას

თავის საყვარელ მასწავლებელისა, რომელსაც  
ხალხის მტრობაშ და შურმა ბოლო მოუღო.

სწორედ ამ დროს ანტისფერისტან მივიღა  
დიოგენი. ის ესეც, — იფიქრა თავისთვის ანტის-  
ფერმა, მოსულა აქა ყური უგდოს მოხუცს მხო-  
ლოდ მისთვის რომ არა იცის, სხვა რა აკე-  
თოს. გავაგდებ მაგას აქედგან!

რისთვის მოსულხარ შენ ჩემთანა? სასტი-  
კად ჰქითხა შან დიოგენსა.

მოძღვარ, მე მოვსულვარ თქვენი სწავლის  
მოსასმენად; მსურს, სწორად ვიცხოვო.

საჩქაროდ გამეცალე, მე არავინ არა მსურს.  
თქვენ კეთილ საიმედო ხალხი არა ხართ. თავი  
დამანებეთ.

მოძღვარ, მე არა წავალ შენგან.

— დაიკარგე! დაულრიალა. ანტისფერმა, და  
სწვდა მას ჯოხითა.

— რავდენიც გსურს, იმდენი მცემე, მაგრამ  
იცოდე, რომ ჯერ კიდევ არა გაზრდილა ისე-  
თი მაგარი კეტი, რომელსაც შეეძლოს ჩემი  
გაძევება შენგან; მცემე, მაგრამ მასწავლე, მტკი-  
ცედ უპასუხა დოკოგენმა.

— ანტისფერმა ჯოხს ხელი გაუშვა და სახე  
მისი გაბრწყინდა სიხარულითა.

— ჩემ მეგობარო, — უთხრა მან, — გადამეხვიე

ლა მაპატიე! ახლა ვხედავ, რომ შენ აიტანე  
სასტიკი გამოცდა; შენ არა თუ მძლავრი ხარ  
სხეულითა, არამედ სულითაც. ნუ დამაგდებ მე და  
მიშველე, ვიწყოთ ერთად სწავლა სიმართლი-  
სა და განუმარტოთ იგი ადამიანთა.

და მათ იწყეს ერთად ცხოვრება.

როდესაც დიოგენი ათინაში მიჰიდა, იმას  
კიდევ ჰქონდა რამოდენიმე გროში, მაგრამ ცო-  
ტაოდენ დაფიქრების შემდეგ ყველა ის გლა-  
ხაკო დაურიგა. წინაპირველად მას მონაც ჰყავ-  
და, სახელდობ მანესი. ერთხელ დიოგენმა  
უამბო მანესის რაც ანტისფენისაგან  
შეიგნო და არწმუნებდა, ორთავემ ღარი-  
ბულად ვიცხოვდოთ მაგრამ მონამ არ  
ისურვა ესა და თავისი ბატონისაგან გაიქცა.  
ამის შემდეგ დიოგენს შეხვდა ერთი ნაცნობი  
და უთხრა:

— რატომ არ ეძებ მანეს? განუცხადე უფ-  
როსთ და დაგიბრუნებენ მას.

— რისთვის, — უპასუხა დიოგენმა: — თუმც მა-  
ნესის კი შეუძლია უჩემოდ გაძლება, განა მე  
კი ვერ გავძლებ უმისოდ? დაე, ისეირნოს  
თავისუფლად.

დიოგენი მარად იმაზედ ფიქრობდა, თუ  
როგორ უნდა კცხოვრა მას, რათა არას დროს.

და არავისთვის ცუდი არ ექმნა, — როგორ უნდა შეეცვალა თავისი ცხოვრება სამხიარულოდ და არა სავალალოდ, როგორც აქამდის „თუმც მე კარგად ვიქნები, — ფიქრობდა ისა, — ჩემს გარეშემო მყოფნიც კარგათ იქნებიან“.

ამ დროს ათინელთ წლიური დღეობა და უდგათ. ამ დღეს ათინაში მრავალი ხალხი შეგროვდა; მთელი დღე თავს ირთობდენ სხვა და სხვა თამაშითა, ღამე კი ქეითობდნენ. ამ განცხრომაში დიოგენს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, საღამო ჟამს ის გამოძრა შვრიის ქაშითა, შემდეგ გაეხვია თავის დიდ წამოსასხამზე და ქალაქის მოედანზე ერთ თავისუფალ ადგილს მიწვა. აქედგან ის უცქეროდა ხალხის გროვას, რომელიც განუწყვეტლავ ხმაურობდა და ჩაუფიქრდა თავისს ცხოვრებას.

იი, — ფიქრობდა ისა, — ადამიანნი მხიარულებენ, ერთს დღეს დასტკბენ და გაძლენ თამაშითა, ეხლა კი ტრაქტირებში წავიდ-წამოვიდნენ. იქ ისინი ლაზათიანად გამოძლებიან და დათვრებიან. მე კი რისთვის არ უნდა ვიცხოვო ისე, როგორც ისინი ცხოვრებენ? რატომ მე განვდევილვარ მათგან და მსურს სხვაფრივ ცხოვრება?

დიოგენი იჭვმა გაიტაცა: სცხოვრებს ის

ისე, როგორც რიგია, თუ არა?

შეცრივ რალაც ხმაურობა მოესმა, მიიხედ-  
მოიხედა და თაგვი დაინახა, რომელმაც თხხის  
ჯამთან მიირბინა დანარჩენ ქაშს ჭამა დაუწ-  
ყო. დიოგენმა შეხედა თაგვსა და თავ-მოწონე-  
ბით სთქვა თავისთვის: რას ჩაფიქრებულხარ  
დიოგენო? აი, ეს თაგვი კმაყოფილია შენ-  
გან მონარჩენ საჭმლითა, შენ კი, გონიერი ქმ-  
ნიღება, ჰგოდებ მასზედ, რომ გამომძლარი და  
გამომთვრალი ვერ განისვენებ რბილ ბალიშე-  
ბსა და ფერად-ფერად ხალიჩებზედ! ამნაირი  
გონიერი ჰაზრებითა განამტკიცებდა დიოგენი  
თავის თავსა, როცა მას იჭვი დაეპადებოდა,  
და მალე სრულიად განთავისუფლდა ყოველივე  
იჭვიანობისაგან და დარწმუნდა, რომ მისგან  
არჩეული გზა ცხოვრების წყაროა.

### III

#### როგორ ცხოვრებდა დიოგენი.

დიოგენმა მალე მუდმივ ბინალრობაზელაც  
ხელი აიღო და იჭ იძინებდა, სადაც კი დაუღამ-  
დებოდა. კარგს ამინდში მას გარეთ ეძინა, გაშ-  
ლილ ცისაქვეშ.

ამნაირ სახურავს ქვეშ,— ამბობდა ისა, —  
ყველა ხალვათადაა, ყველასათვის საკმაო აღგი-  
ლია. ვარსკვლავნიც ლამ-ლამობით კაშკაშობენ  
და კრთებიან, თითქმ ურთიერთშორის საუბ-  
რობდენ მის შესახებ რასაც ჩვენს დედა  
მიწაზედ ხედავენ. უცქერიმათ და მოწყენილობას  
სარჯლიად არა გრძნობ, თითქმ მარტო არც  
კი იწვე, არამედ ხალხთან.

ავდარში კი დიოგენი ალაყაფის კარებს  
შეეფარებოდა ხოლმე. ათინაში სხვა და  
სხვა ღმერთების სახელობაზე ბევრი ტაძარი იყო  
აგებული. იყო ტაძარი იმ ღმერთის სახელობაზე,  
რომელიც, ხალხის თმით, ელვა-ჭუხილს  
გზავნიდა ქვეყნად; მეორე-იყო იმ ღმერთის სა-  
ხელობაზე, რომელსაც ომიანობის დროს ევედრე-  
ბოდნენ, მესამე, — რომელიც ხალხის თქმით,  
ვაჭრობაში შველიდა, და კიღევ სხვა ბევრი. ტა-  
ძარი იყო. ტაძრების წინ კი აშენებული იყ-  
ვნენ ღიღრონი აღაყაფის კარები, რომელთა  
სახურავი შემუობილი იყვნენ სახეებითა.

ბერძნები ამა შენობათა ასაგებად არავი-  
თარ შრომას არა ზოგაცდნენ, ხუროთ მოძღვ-  
რებსაც კი სამზღვარგარეთიდგან იწვევდნენ. ქა-  
ლაქები ერთი მეორის წინ თავს მითი იწონებ-  
დნენ, თუ რომელ მათგანს უფრო მაღალი და

ეშვენიერი ალაყაფის კარები აქვს ა. ამის გამო  
დიოგენი დაცინვით იტყოდა ხოლმე: „ღმერთ-  
მა უშველუს მაგათ, კარგი სახლები გამიშნე-  
სო“. ერთ ტაძართან ალაყაფის კარებ ჭვეშ ერზი  
ცალიერი ბოჩქა ეგდო. დიოგენმა შეიყვარა ეს  
ბოჩქა და თავის საკუთრებად რაცხდა. ხშირად  
ეს კიდევაც ჩაძრებოდა ხოლმე შიგა ლამის გასა-  
თევად.

ერთხელ დიოგენი ქალაქს გარედ გავიდა  
და ვზა-ვზა წავიდა. წყაროს ახლო უნდა გვე-  
ლო. გზაში ბიჭი შეხვდა. ბიჭს წყალი მოსწ-  
ყურდა; მივიღა წყაროსთან, ამოიღო წყალი  
ტორით, დალია და წავიდა. დიოგენს კი თა-  
ვისი სასმისი ჰქონდა. რაკი დაინახა, რომ ბიჭს  
წყლის დასალევათ სასმისი, არ მოუნდა, მა-  
შინვე თავისი სასმისი უკუ აგდო და შემდეგ  
ახალი სასმისი ალარ შეუძენია: წყლის სმა ტო  
რით იწყო.

შექამანდისთვის დიოგენს, თიხის ჯამი ჰქო-  
ნდა. ერთხელ ის ტრაკტირში შევიდა და მო-  
საჭმელი მოითხოვა. ხედავს ერთი ღარიბი შემო-  
ვიდა ტრაკტირში საღილისთვის, — უნდა სახლ-  
ში წაიღოს, მაგრამ ჭურჭელი არა აქვა. დიო-  
გენი უცქერის, აბა რას იზამს ეს ღარიბიო. იმან  
კი იყიდა პურის ყუა, ამოიღო იქიდგან გული

შეჭამადი ქერქში ჩასხა და შინ წაიღო დიო-  
გენს ესეც ძლიერ მოეწონა.

დიოგენი ხშირად სამოწყალოთი იკვებე-  
ბოდა ხოლმე, ზოგჯერ სათევზაოთაც და-  
დიოდა ზღვის პირზე. უწინ ის თევზს  
ხარშავდა, შემდეგ კი უმი თევზის ჭამა დაიწ-  
ყო, და კიდევაც შეეჩვით. ის სიხარულით ამ-  
ბობდა: „აი, მე ცეცხლიც აღარ მჭირდება“  
ხშირად ის სხვა და სხვა ბალახებს და ფესვებს  
მიაძლებოდა ხოლ მე, მაგრამ ამით მის ჯანმრ-  
თელობას არავითარი ზიანი არ ეძლეოდა.

რო უფრო ჯანმრთელი ყოფილიყო სხე-  
ულითა, დიოგენი სიცივეს და სიცხეს არ ერი-  
დებოდა. ზამთრობით ის ყინულზე ფეხშიშვე-  
ლი დადიოდა, ზაფხულში კი მზისგან გახურე-  
ბულ სილაზე ტიტველა ეგდო.

ფეხ-საცმლის ტარებას დიოგენმა სრული-  
ად დაანება თავი. ის ამბობდა, რომ ფეხები  
არასოდეს პირის სახეზე და თვალებზე უფრო  
სათუთი არ უნდა იყვნენ და, თუ სიცივის  
დროს თვალებს და პირის სახეს არ ვითარავთ  
და არ გვეშინიან გაციებისა, ფეხებიც ამასვე  
უნდა შევაჩვითოთ. მთელ მის ტანთ საცმელს  
შეადგენდა მხოლოდ ერთი განიერი წამოსასხა-  
მი, როცა თბილობა, წამოსასხამს გაშვებულად

ატარებდა, როცა ციოლა, მაშინ კი ორად გა-  
კეცილს ხმარობდა ხოლმე.

ძლიერ შორს გაუვარდა ხმა დოოგენს.

მისი მასწავლებელი ანტისფენი, თან და  
თან ბერდებოდა და უძლურდებოდა, და ხალ-  
ხმა დიოგენთან იწყო სიარული. დიოგენს  
მშვენიერი ხმა ჰქონდა. ის ისე გონივრულად,  
მჭერმეტყველურად და სარწმუნოდ ლაპარა-  
კობდა, რომ ყველა, ვინც კი ყურს უგდებდა,  
უნებლიერ ეთანხმებოდა მას.

ათინის მახლობლად, ზღვაში, იყო კუნ-  
ძული—ეგინა. იქ ცხოვრებდა ერთი მდიდარი  
კაცი. სახელით ანეზიკრიტი. მას ბევრი რამ  
გაეგონა დიოგენის ცხოვრების შესახებ და თა-  
ვისი უმცროსი ვაჟი ათინაში გაგზავნა იმის გა-  
საგებად, რა და კაცია ეს დოოგენი.

შეილიც გაემგზავრა. მამა ელოდა, ელო-  
და, მაგრამ შვილი არ ბრუნდებოდა. ერთხელ  
ათინიდგან მივიღნენ მასთან ვაჭრები და უაშეს  
„ჩვენ ვნახეთ, შენი ვაჟი რომელიც ისმენდა  
დიოგენის სწავლას. როცა ჩვენი ვინაობა  
გაიგო, გვთხოვა თქვენთვის გარდმოგვეცა,  
რომ ის თქვენთან ველარ დაბრუნდება, რადგა-  
ნაც არ შეუძლია მასწავლებლის დატოვება.

მაშინ ანეზიკრიტმა უფროსი ვაჟი გაგზა-

ვნა, — ალარც ის დაბრუნდა. ბოლოს თვითონ გაემგზავრა ათინაში და როცა დიოგენი ნახა და მისი სწავლა-მოძღვრება მოისმინა; — თვითონაც მისი მოწაფე შეიქნა.

დიოგენი ხშირად იტყოდა ხოლმე, რომ ადამიანი უფრო იმისაგამო იტანჯება, რომ ვერ ისრულებს მას, რაცა სურს. მაშასადამე, იმი სათვის, რომ არ იტანჯოს და ბედნიერი იყოს, რაც შეიძლება, ცოტა უნდა ისურვოს, სურვილი კი ადამიანის მფლობელობაშია. როცა ადამიანი თავის ნდომათაგან განთავისუფლდება, მაშინ ის ბედნიერი შეიქნება. მაშან მას თავის თავზე საზრუნავო ცოტა აქვს და სხვა და სხვა ნდომათა დასაკმაყოფილებლად არა წვალობს, ამიტომაც მეტი დრო აქვს სხვებს უშველოს.

დიოგენი გლახაკო პატივით ეპურობოდა, არიგებდა მათ, შეეყვარათ თავისი სიგლახაკე და არ ეძებნათ სიმღიღრე.

— სიღარიბე, — ამბობდა ისა, — თვით მასწავლებელია, თანაშემწევა სიბრძნისა.

პიდევ, — იტყოდა ისა. — ადამიანმა ცხოვრებისათვის ძალაუნდა მოიკრიბოს როვორც სხეულით, ისე სულით. სხეული იძენს ძალას სამძმო, და ოფლ საღვრელ სამუშაოში სულს

კი აძლიერებს კეთილი საქმეები.

ის ამასაც იტყოდა ხოლმე, რომ საკუთრე ბად არა ფერს არ უნდა ვსთვლიდეთ, გარდა თავისი სხეულისა და სულისა. სხეულითაც უნდა ვსარგებლობდეთ არა მარტო თავისი მუცლისათვის, არამედ სხვათა საბეჭნიეროდ!

— როდესაც შენ რაიმე საქმეს მოიფიქრებ, — ამბობდა დიოგენი, — უნდა გასაჯო, გონივრულია ის თუ არა, და ამნაირი საქციელისთვის სინდისი დაგსჯის თუ არა. მის შესახებ კი, თუ სხვანი რას იტყვიან, არ უნდა ჰყიუქრობდე, მიტომ რომ სოფლის ხმა ისეთივე ცვალებადია, როგორც ღელვა ზღვისა; და თუ მას ყური უგდე და ისე მოიჭეცი, ვერავის ვერ ასიამოვნებ; ვერც თავს და ვერც სხვებს ვერავითარ სარგებლობას ვერ ჰოუტან.

აგრე ასწავლიდა დიოგენი ყველას, ვინც მასთან დადიოდა, და თავისი ცხოვრებით ამტკიცებდა თავისი სიტყვების ჭეშმარიტებას. ბევრი ბერძენნი განცვიფრებაში მოჰყავდა დიოგენის სიბრძნეს და ამბობდნენ: „საიდგან გაიგო მან ყოველივე ესა. ეს არ არის შეილი იცესისა, ყალბი ფულების მომჭრელისა, რომელიც სინოპის ციხეში ჩაბრძანეს. თვითონაც როგორც ამბობენ, იმავე საქმეს შეეჭცეო

და, ამიტომაც გამოაძევეს სამშობლო ქალაჭიდ-  
გან. ეხლა კი მასწავლებლად გამხდარაო “იყვნენ  
ისეთი პირნიც, რომელნიც, როცა კი შეხვდე-  
ბოდნენ მას, პირდაპირ ეუბნებოდნენ:

— მართალია, დიოგენ, რომ უწინ შენ ყალბ  
ფულებსა სჭრიდი?

ამაზედ დიოგენი უპასუხებდა ხოლმე.

— მართალია, მე წინეთ ცუდათ ვსცხოვრებდი  
მ-გრამ ეხლა კი გამოვიცვალე, ოქვენ კი თა-  
ვის რავზე დაიხედეთ და იფიქრეთ, როგორნი  
იყავით წინეთ, და მას შემდეგ რამდენათ გა-  
მოიცვალეთ?

ამ დროს ათინელთ ომი აუტყდათ თავის  
მეზობელ მაკედონელებთან. ბრძოლა გაიმარ-  
თა ათინის ახლო, ქალაქ ხირონესთან. ამ ბრ-  
ძოლაში დიოგენი ტყვედ დაიჭირეს. მტრებმა  
დაინახეს, რომე კაცი მშვიდად მორჩილად უარ-  
დებათ მათ ხელში, იფიქრეს, ჯაშუშიაო, და  
მიიყვანეს მაკედონელების მეფე ფილიპესთან. ამ  
დროს ფილიპე შეტად მოწყურებული იყო,  
ყველა მეზობელი ერი დაეპყრო და თა-  
ვის სამფლობელოდ გაეხადა.

დიოგენი მიჰვარეს მეფეს და უთხრეს:

— მს, როგორც ვატყობთ, ჯაშუშია, და  
უნდა გამოვკითხოთ.

მეფემ ჰკითხა დიოგენს:

— შენ მართლა ჯაშუში ხარ? ეხლა რო გა-  
გიშვა, რას მოახსენებ თქვენიანებს?

დიოგენმა უპასუხა:

— მე მაა ვუამბობ შენს გაუმაძლრობას.

მეფე — ფილიპეს მოსწრებული სიტყვა მე-  
ტად უყვარდა. გაცინა და დიოგენი განათ-  
ვისუფლა.

#### IV

### დიოგენის მონად გასუიდვა.

ონეზიკრიტმა, შეიგნო რა დიოგენის სწა-  
ვლა მართლ-ცხოვრების, შესახებ თავისი ვაჟებით  
დაბრუნდა სახლში — ეგინის კუნძულზედ, და  
შეძლებისამებრ ასწავლიდა თავის მეზო-  
ბლებს სიტყვით თუ საქმით. მხოლოდ თავის  
საყვარელ უმასწავლებლოთ მალე მოსწყინდა.  
მი სწერა მას წერილი და ემსუღარებოდა მასთან  
ეგინაში მოსვლასა. ამ დროს ათინაში ომიანო-  
ბის გამო არეულობა იყო.

დიოგენი გაემგზავრა ეგინაში ხომალდით.  
ჰლვაში საშინელი ქარიშხალი ამოუვარდათ.  
მესაჭემ ვზა დაჭვარგა და ხომალდი ტალღებმა

გაიტაცა. მოგზაურნი შეშინდნენ და არ იცოდნენ რა მოუვიდოდათ: სადმე კლდეს მიახეთქავდა მათ, თუ გაიტაცებდა შუაგულ ზღვაში, ანუ უცხო ქვეყანაში, დასახლებულს უცხო ხალხითა. გათენდა დილა, ამინდი დაწყნარდა და, როცა განათლდა, დაინახეს, რომ იმათი ხომალდი კლდოვან ნაპირისაკენ მიკურავს, საჭე და ყოველივე მოსაწყობი იარაღი ხომალდისა მოგლეჯილიყო, ამიტომ მიმოსვლა ხომალდს ველარ შეუცვალეს. ისინი მიადგენ პირდაპირ კლდოვან ნაპირს, რომელზედაც ხომალდი გამოირიყა.

საწყალმა მოგზაურებმა, სანამ მოიფიქრებდნენ, თუ რა ექმნათ, როგორ ეშველათ თავისთვის,— შორს დაინახეს მეორე ხომალდი, რომელიც რაც ძალი და ოონე ჰქონდა, პირდაპირ მათკენ მოდიოდა ძლიერ გაეხარდათ, იფიქრეს—გვეშველაო, მაგრამ შეცუნენ. ეს ხომალდი მეკობრეთა გამოდგა.

იმ დროში ბევრნი იყვნენ მეკობრენი, რომელთაც თავისი ხომალდები ჰყავნდათ. მეკობრეთა ხომალდი ნაპირს მიადგა. ჩაუშვეს ლუზა, მოახსნეს იალქნები. ჩვენი მოგზაურნი ხედვენ, რომ იმ ხომალდიდგან გადმოიღეს ნავი და ჩაჯდნენ შიგ შეიარაღებულნი შებითა, მახვილითა და ფარითა.

— საქმე ცუდათ არის, — სოდეს, — ყველას  
ცოცხლად წაგვიყვანენ.

მიცურდა შათთან ნავი მეკობრეთა და და-  
უცვირეს:

ჩაგვბარდით!

მეკობრეთ ჩვეულება ჰქონდათ, თუ ვინმე  
წინაღმდეგობას გამოიჩენდა, მოჰკლავდნენ და  
წყალში გადისერიდნენ; ვინც ნებით ჩაბარდე-  
ბოდა, ტყვედ წაიყვანდნენ და მონად გაჰყი-  
დდენ.

დიოგენმა ეს კარგათ იცოდა, ამიტომ  
ამხანაგებს ურჩევდა, წინაღმდეგობა არ გაეწიათ  
— ეს დიდი უბედურება არაა, რომ ტყვედ  
წაგვიყვანენ და მონებად გაგვყიდიან. ყველა  
ადამიანთან შეიძლება მოთავსება, ისინიც  
ხომ ადამიანები იქნებან. სულს ხომ  
ვერ დაგვატყვევებენ, და მხოლოდ სულიერი  
თავისუფლება არის ძვირფასი ადამიანისათვის.  
თუმც ეწინაღმდეგეთ, ტყვილა უბრალოთ სის-  
ხლს დავლვრით და თავს ვერას ვუშველით.

ისინი, ვინც დაუჯერა დიოგენს, შემდეგ  
მაღლობდნენ მას, სხვანი კი, ვინც არ დაუჯე-  
რა და იბრძოლეს, მოკლულ იქმნენ. რაც კი  
ძვირფასი რამ მოიპოვებოდა ხომალდზე, ავაზა-  
კებჲა ყველა თავის ხომალდზე გადატანეს.

მერმე აუშვეს ხომალდი და წაკიდნენ. ისინი  
მალე მიაღვნენ კრატის კუნძულს, ამ კუნძუ-  
ლზედ მონებით ვაჭრობდნენ.

მეკობრენი მოედანზე დაეწყვენ და საბა-  
ზრო დღეს უცდიდნენ. დატყვევებულთ ცუდი  
დღე დაუდგათ, ისე ცოტას იძლევდენ საზ-  
რდოს, რომ შიმშილით კიღანამ დახოცეს; და იქ  
რომ დიოგენი არ ყოფილიყო, მართლა და ში-  
მშილით დახოცდნენ საწყლებს. მაგრამ დიოგე-  
ნი თამამად თხოულობდა თავის ბატონებისა-  
გან უკეთეს საზრდოს.

— უცნაური საქმეა, — ამბობდა ისა: — გოჭებს  
და ცხვრებს, გასასყიდლათ გამზადებულთ,  
თქვენ კარგათ ჰკვებავთ, აღამიანს კი, უძირ-  
ფასეს ყველა ცხოველებზე, შიმშილითა ჰკლავთ,  
თუმცა გასასყიდათ კი გსურთ.

მისი სიტყვები გამყიდველებზე მოქმედებ-  
დნენ და საზრდოს უმატებდნენ, ის კი თავის  
შშიერ ამხანაგებს ურიგებდა და თან ხუმრობით  
ართობდა.

ბაზრობაც მოაწია. მონების გამყიდველ-  
ნი მუშტრის მოსაზიდავათ, ჩვეულებისამებრ,  
იძახდნენ იმ ხელობას, რომელიც თვითოვეულ  
მათ შონათაგანმა იცოდა.

დიოგენს ჰკითხეს:

— შენ რომელი ხელობა იციო?

— მე შემიძლია აღამიანების მართვა — გამგეობაო, უპასუხა დიოგენმა.

— თავს ესდებ წარსაკვეთად, სიცილით უთხრა გამყიდველმა, რომ აჩავინ არ ისურვებს ბატონის ყიდვასა. აბა რა უნდა დაიძიახო მე შენზედ?

— აი რა დაიძიახე: ვის გსურს იყიდო თავისი თავის ბატონი, ვის გსურს ბატონი?

ამ დროს დიოგენმა დაინახა, რო მის ახლო პაზარში ჩაიარა სუფთად ჩატმულმა, სათნა სახის მდიდარმა კაცმა.

— აი, იმ კაცს მიმყიდეთ; მე ვხედავ, რომ მას ბატონი სჭირდება. ამ მდიდარს ეწოდებოდა ქსენიადი. დიოგენის სიტყვებს მან ყური მოჰკრა, მოეწონა ეს სიტყვები, მობრუნდა, იყიდა დიოგენი და წაიყვანა თან კორინთში. საღაც ცხოვრებდა თავისი სახლობით.

გზაში, დიოგენთან საუბრის დროს, ქსენიადი დარწმუნდა, თუ რა დიდი განძი შეიძინა. როცა სახლში მივიღნენ ქსენიალმა თავის შვილებს დიოგენი აღმზრდელად დაუყენა. შემდეგ ისე შეიყვარა დიოგენი, რომ მთელი ოჯახობა მას ჩააბარა.

## დიოგენი ქსენიადის სახლში

დიოგენი მონად გახდა, გარნა სული მისი  
კი თავისუფალი დარჩა.

ის დაბინავდა ქსენიადის ოჯახში და მის-  
თვის ისეთ საჭირო კაცად შეიქმნა, რომ ქსე-  
ნიადი უმისოდ არავითარ საქმეს ხელს არა ჰქი-  
დებდა.

როცა ქსენიადს ზალინბნი ჰკითხავდნენ,  
კმაყოფილია თუ არა ის ახალ შეძენილი მონი-  
თა, ის უპასუხებდა ხოლმე:

—ვმადლობ ზენას ამნაირი ბედნიერებისათ-  
ვის, მას შემდეგ, რაც ჩემს ოჯახში დიოგენი  
დაბინავდა და იმისი მოვლა იკისრა, ჩემსას სრუ-  
ლი მშვიდობა, წესი და რიგი სუფევს.

დიოგენმა შეიყვარა თავისი ბატონი მისი  
მშვიდი ხასიათის გამო, ხოლო უმეტესად შეიყ-  
ვარა იმისი შვილები. ბავშვებიც ძლიერ შეე-  
თვისენ მას. დიოგენს კარგათ ესმოდა, რომ  
ბავშვების აღზრდა მეტად ძნელი საქმეა.

—ჩემი საქმე, —იტყოდა ისა, — თითქო მე-  
ჭურჭლისას ჰგავს: მე მაქვს მოცემული რბილი

თიხა, შემიძლია მისგან ის გავაკეთო, რაცა მსურს; როცა მას გამოსწვავენ, მერმეთ გასწორება გვიან ლაა. შაშინ თუგასწორება დაუწყეთ, ჭურჭელს მხოლოდ გასტეხთ. ბავშებიც აგრეა: სანამ ახალგაზღანი არიან, ყოველივეს მიიღებენ და შეითვისებენ, რაკი წამოიზრდებიან, მხოლოდ იმასვე შეინარჩუნებენ, რაც ბავშობაში მიიღეს; მერმე გასწორება ძნელია.

დიოგენი ამჩნევდა, რომ ხშირად მშობელნი თავის შვილებს ყმაწვილობაშივე დაუწყებენ ფუჭებას, ამიტომაც წინასწარ აუწყებდა მათ ამასა და ცდილობდა დაეხსნა ყმაწვილი იმ უფსკრულისაგან, საითკენაც მიიზიდავდა მას მაცდურება, ამხანაგების მაგალითი და მშობელთა სისუსტისაგან გააჩიზებას.

მრთხელ დიოგენმა ნახა, რომ პატარა ყმაწვილი სასადილოთ მიდიოდა ერთ გარყვნილ ყოფაქცევის კაცთან. დიოგენი მივიდა ბიჭთან, სტაცია ხელი და ურჩია სახლში დაბრუნება. მიიყვანა მშობლებთან და უთხრა:

— დაიცევით ეს ბავში უბედურებისაგან.

მეორე ჯერ დიოგენი შეხვდა ერთ ჭაბუკს, რომელიც ლხინში მიდიოდა.

— რისთვის მიდიხარ შენ იქ,— უთხრა მან ყმაწვილს: შენ იქ სიბრძნეს დაჰკარგავ.

ჭაბუკმა არ დაუჯერა და მაინც წავიდა. მეორე დღეს ისინი კიდევ შეხვდნენ, და ყმაწ- ვილმა დიოგენს უთხრა:

— აი, მეც დავბრუნდი ლხინიდან, მაგრამ უა- რესი კი სულაც არ გავმხდარვარ.

— სტუუი, — უპასუხა დიოგენმა, — შენ უსა- თუოდ დაუძლურდი სულითა.

სამაგიეროდ უნდა გენახათ როგორ ხარობდა დიოგენი, როცა ამჩნევდა, ახაოვაზდა ყმაწვილში სინდისს და მის პირის სა- ხეზე დარცხვენის სიწითლეს.

— მს ფერი სათნოების ნიშანია, — ამბობდა ისა, — ეს ღვთაებრივი მადლია.

დიოგენი ყველაზედ უფრო მეტად იმას მეცადი- ნობდა, რო მისი პატარა მოწაფენი არ დაჩვე- ოდნენ ჰატონურ და მავნე ჩვეულებაებს, შა- გალითებრ: გემრიელ სმა-ჭამას, ძვირფას ჩაკმა- დახურვას და ფუფუნებას. მან კარგათ იცოდა, რომ ყოველივე ეს, აღამიანს აფუჭებს, ამიტო- მაც ბავშვებს აჩვევდა ფეხ-შიშველა და უქუ- დოდ სიარულს, ტიტველა მიწაზედ ძილსა და უბრალო ტანთსაცმლის ტარებას. ბავშვებს რო ფიზიკური ძალაც საკმაოდ მოეკრიბათ, იგი მათ უმართავდა იმისთანა გასართობ სათამაშოებს, რომ ლეგბშიაც მთელი სხეული მოძრაობაში მოდიოდა.

დიოგენი თავის პატარა მოწიფეთ მუდამჟამს  
მას აგონებდა, თუ რისთვისაც იყო საჭირო ყო-  
ველივე ესა. იგი ასწავლიდა მათ, თავიანთი  
ოთახი თვითონვე დაესუფთავებინ-დაელაგებინათ  
და არ ეწვალებინათ მონები რომელთაც იმათს მდი  
დარ ოჯახში უმისოდაც დიდი ჯაფა აწევთ კისერ-  
ზედ ბავშები ყურს უგლებდნენ დიოგენის სიტყვებს,  
გარნა უმეტესად განისწავლებოდნენ თვით მას-  
წავლებლის ცხოვრების მაგალითით. ისინი ყო-  
ველივე ში მასწავლებელს ბაძავდნენ, მით უმე-  
ტეს, რომ დიოგენი თვით ისე სცხოვრებდა,  
როგორც სხვებს ასწავლიდა ცხოვრებას.

შენიალის ვაჟები ისე შეეთვისენ დიო-  
გენს, რომ სიკვდილამდის მას აღარ მოშო-  
რებიან.

აგრე სცხოვრებდა დიოგენი ქსენიალის  
ოჯახში და ამაზედ უკეთესს თავისთვის  
არას ეძიებდა. მისმა მეგობრებმა აღრე  
შეიტყვეს, თუ სად სცხოვრებდა იგი; მივიღნენ  
მასთან, რათა მონობისაგან გამოესყიდათ. დიო-  
გენმა არ ისურვა ესა და დაცინვით უთხრა მათ:

— ფულებს მუქთად რისთვის ხარჯავთ? უმ-  
ჯობესია გლახაენი გააძლოთ, მე აქაც კარგათ  
ვცხოვრობ. მონობისაგან ჩემმა მასწავლებელ-  
მა, ანტასფენმა განმათავისუფლა, და მას

შემდეგ არავის არ ჟეუძლა დამიმონავოს მე.

დიოგენის მეგობართ თავისი საყვარელი მასწავლებლის დაშორება არა სურდათ და ზოგნი მათგანი ქსენიადის სახლის ახლო დაბინავდენ. დიოგენი ყოველ დღე ესაუბრებოდა მათ. ის დადიოდა ქალაქს გარედ მდებარე უბანში — კრონიონში, რომლის მახლობლადაც მდებარეობდა მშვენიერი ჩრდილოვანი ბალი. მას მეტად უყვარდა ამ ჩრდილოვან ბალში ჯდომა. აქ ის შეხაროდა ყოველივე ღვთის ქმნილებას და თან ამბობდა.

— ამაზედ მეტი ადამიანმა რაღა უნდა ისურეოს? რა უხვად დაჯილდოვა ის ბუნებამ. სადა ვპოვო მე ლოგინი ამა კორდისა ურბილესი, სადა ვპოვო სინათლე, ამა მზის უკაშაშესი, სად მოვისმინო გალობა, უმშვენიერესი ამა ბულბულის გალობისა, რომელი სასმელი იქნება უგემრიელესი და უწმინდესი ამა ან კარა წყაროისა? აქ საჭმელიც ბევრია: რავდენი ნოკიერი მცენარე და ყუათიანი ფესვებია; წავალ, მოვთხრი და ვისალილებ. არც არავინ წამართმევს, და თუ წამართმევს, ხელახლა წავალ და ვიშოვნი.

ამ ბალში დიოგენი ებაასებრდა თავის მოწაფეთ; როცა მარტო დარჩებოდა, ფიქრობდა მის შესახებ, თუ როგორ უნდა რაიხსნა თავი კო-

დვებისაგან და სხვებსაც როგორ მიშველებოდა  
ამავე საქმეში.

ზოგჯერ ის თავის ფიქრებს სწერდა კიდეც,  
მაგრამ ჩვენამდის იმისმა ნაწერებმა ვერ მოაჰ-  
წია. მისი ნაწერებისაგან ჩვენ მხოლოდ ის ვი-  
ცით, რაც გარდმოგვცეს სხვებმა, იმათ წამკით-  
ხველებმა. თავის ნაწერებზე ის აგრე სჯიდა.

— მე მსურს ვსწერო! მაგრამ რაზედ დავს-  
წერო? მე არა მაქვს არც გასანთლული დაფა, არ-  
ცა ტყავი; ბრტყელი ქვა, ანუ ძვალი მაინც  
მქონდეს. აბა რა უნდა ვქნა? ყველა ესენი რომ  
კიდეც მქონდეს, რითი უნდა ვსწერო ზედა,  
არავითარი საწერი იარაღი მე არა მაქვს. გამი-  
გონია, სილაზე წერა შეიძლებათ, მხოლოდ სამ-  
წერხარო ისაა, რომ ნაწერი მაღე წაიშლება. მე ბევ  
რი ვიცი იმნაირი მწერლები, რომელთაც მარ-  
თლა და სილაზე უნდა სწერონ, რომ აღრე  
წაიშალონ იმათი ყოვლად უვარგისი თხზულება-  
ნი. ძველათ ხომ ეს ნიეთები არა ჰქონიათ. ებლა  
კი ვითომ რისთვის არ შეიძლება უამათობა?  
მართალია, ძველათ ცოტას სწერდნენ, სწერდნენ  
მხოლოდ იმას, რაც საჭირო და სასარგებლო  
იყო; ებლა კი მხოლოდ იმასა ჰფიქრობენ, რაც  
შეიძლება მეტი, დასწერონ, თუ გინდ უსარგებ-  
ლო და უვარგისიც იყოს. აბა, რავქნა, რო

წერა მსურს? ეჰ, რა უხეიროვარ! ჩემი ოიახის  
კედლებზე ხომ არა ჰქიდია რა: არც სურათები და  
არც სხვა რამ სახეები; ავიღებ ნახშირს და  
კედლებზედ დავიწყებ წერას.

მრთხელ დიოგენთან შედის ქსენიადი და ზე-  
დავს, კედლები სულ დაწერილია. იგი მაშინვე  
წავიდა ქალაქში, მშვენიერად ლაკაზმული დაფები  
იყიდა და დიოგენს აჩუქა. დიოგენმა გამოა-  
რთვა და უთხრა:

— მადლობელი ვარ, ქსენიადო! თუმც  
შენ გსურს, რომ მე ამ დაფებზე ვსწერო, შემი-  
ძლია სამსახური გაგიწიო. სჩანს, შენა  
გსურს ჩემი ნაბოდვარი შეინახო, შენი ნება  
იყოს. ყურადღებისთვის კი მადლობელი ვარ.

დიოგენმა დაიწყო წერა ძვლის დაფებზე. იმ  
დროს ქალალდი როდი იყო, სწერდნენ ტყავ-  
ზე, ფართო ხის ფოთლებზე, მდიდრები კი  
ძვლის დაფებზე.

## VI.

დიოგენის საუბარი მონაცემთან გის ჭავა-  
ხებ თუ რა ცოტაა საჭირო აღამიანისათვის

მოწაფეებთან საუბარს დიოგენი იმათ იწყებდა, რომ

უმტკიცებდა ხოლმე მათ, თუ რა ცოტაა საჭირო  
ადამიანისათვის, რომ ბეღნიერი იყოს. ეს რომ ადა-  
მიან ებს შეგნებული ჰქონდესთ, ყველა ბეღნიერი  
იქნებოდა, რადგანაც ყველას ეყოფოდა ის,  
რაც არის და აღარავინ გაჭირვებაში არ იქნებო-  
და. ეხლა კი ადამიანი ისე გასათუთლნენ  
რომ მხეცებზედაც უბეღურნი არიან, თუმცა  
მხეცებს არც ცეცხლი გააჩნიათ, არც ტანთ  
საცმელი და არც დამარაგებული საჭმელი აქვთ.  
მიუხედავათ ამისა ისინი სცხოვრებენ იმდენს, რაფ-  
დენიც ბუნებით აქვთ დანიშნული, სიკვდილამ-  
დის ჯანმრთელიად არიან და ავათმყოფობა  
მათ შორის იშვიათი მოვლენაა. ადამიანი კი,  
თუმცა მეტად სწყურიათ სიცოცხლე და მრა-  
ვალი საშვალებანი ხელთ აქვთ, რათა განაგრ-  
ძონ სიცოცხლე და სიკვდილი დაიშორონ, მაგ-  
რამ ხშირად სიბერემდის ვერ ახწევენ და სიცო-  
ცხლეშიაც მრავალი სენით იტანჯებიან, არა-  
ვითარი სამკურნალო ოსტატობა მათ არა შვე-  
ლისთ. აგრეთვე არა შველისთ მათ ვეღრება ღმერ-  
თისადმი, ვინაიდგან ისინი სცხოვრებენ უკრძალ-  
ველიად, ბიწიერად და ბიწიერებაშივე იღუპე-  
ბიან. რავდენი ხერხი და სხვა და სხვა ოინი  
მოიგონა აღამიანმა, რათა უფრო მოხერხებუ-  
ლიად იცხოვროს, მაგრამ მაინც არა ეშველა რა,

რადგანაც ცოდნასა და სიბრძნეს აღამიანები ხმა-  
რობენ არა სიმართლისა და თავისუფლებისათვის  
არამედ მისთვის რომ უფრო ცბიერობით  
მოიპოვონ ტკბილი ცხოვრება. მათ ეშინიათ  
მძაფრი და ჯაფრანი ცხოვრებისა; მათ ჰგონიათ,  
რომ თავის თავზე ზრუნავენ, გარნა თავს იღუპავენ  
კი მეტის მეტი თავის ჯანმრთელობაზე ზრუნვითა.

ამისთანა სიტყვებით დიოგენი აკვირვებ-  
და მდიდართ, ზოგნი გარბოდნენ მისგან, რად-  
განაც იგი მათ სულელად მიაჩნდათ, ზოგი კი  
რწმუნდებოდა იმისი სიტყვებით იცვლიდა  
ცხოვრებას და ბედნიერი ხდებოდა.

მრთხელ დიოგენთან შეგ როვდა  
მრავალი ახალ-გაზდა. დიოგენმა მიმართა მათ  
შემდეგი სიტყვით.

ჩემთვის მეტად საწყენი იქნებოდა, რომ  
ერთი შაინც აღმოჩენილიყო იმისთანა აღა-  
მიანი, რომელსაც უფრო ნაკლები მოთხოვნი-  
ლება ჰქონოდა, ვინემ მე. აღამიანი მაშინ სკ-  
ხოვრებს კარგათ, როცა მას არა აქვს არავითარი  
მოთხოვნილება. რაკი ეს შეუძლებელია, ამიტომ  
უმჯობესია, რაც შეიძლება ნაკლები მოთხოვნი-  
ლება იყოს, და აღამიანიც რაც შეიძლება ცო-  
ტის უნდა ფიქრობდნეს მასზე.

— ძი; მაგრამ ეს ხომ ძნელია, მოძლვარო!  
უთხრა მას ერთმა ყმაწვილმა.

— მართალს ამბობ, რომ სამძიმოა, განსაკუ-  
თრებით იმისთან ებისთვის, როგორიც ხორეთ და  
ფილმედონია, — სთქვა დიოგენმა და უჩვენა არ  
მდიდრულად ჩატულ ახალგაზღებზე. — თქვენს  
გაფუჭებას ხომ დაბადებიდგანვე შეუდგნენ. აბა  
კარგათ იფიქრეთ: ნუ თუ მნელი არ არის ცხოვრება  
იმ სულელისთვის, რომელსაც სურს მაინც და მაინც  
გამდიდრებული მოკვდეს. მე ვფიქრობ, მისთვის  
უფრო სამძიმოა ცხოვრება, ვინემ ლარიბისთვის.  
რამდენი შრომა უნდება მას სიმდიდრის. შესა-  
გროებლად, და კიდევ მეტი — რომ არ გაფლანგოს  
იგი. აბა რამდენათ ულირს ზოგს, რომ უბრალო  
მუშისაგან ბატონი გახდეს? სულელი და უძ  
ლურნი აღამიანნი! აღამიანს ხომ უმისოდაც  
ბევრი სწვა საზრუნავი აქვს, რომელსაც გვერ-  
დს ვერ აუვლის, მაგალითებრ; როგორ დაიცვას  
თავი ბოროტებისაგან, როგორ უშველოს გაჭი-  
ვრებულს.

თქვენ კი ბევრ შრომას იმატებთ მხოლოდ  
მისთვის, რომ შეიძინოთ მეტი საზრუნავი და  
საწვალებელი. ყველა წვალება აღამიანისა წარ-  
მოსდგება მისგან, რომ აღამიანთ ბევრი სურთ,  
ბევრი შეშურთ, ის კი არ იკიან, რომ თვით  
მათში მოიპოვება ყოველივე ისა, რაც მათთვის

საჭიროა. აბა შემომხედეთ მე! ისეთს ნეტარებაში ვარ, როგორიც კი შესაძლოა აღამიანისთვის: მე მჭირდება მხოლოდ ცოტა პური, ანუ ფესვები მისთვის, რომ ვიცოცხლო, და კიდევ ეს მოსასხამი, რომ არ გავიყინო, ანუ კიდევ ბოჩქა, რათა მშრალად დავწვე. ბეღნიერი ვარ, რომ ამას მივახწიე!

— ჟეშმარიტად აგრეა, მოძღვარო, — უთხრა ერთმა ახალგაზღა ყმაწესლმა, სახელდობ კრიტესმა, — შენ შეგიძლია იამაყო ამითი და ჩვენც შეურით შეგყურებთ გარნა რავდენი დაცინვა აიტანე შენ! ძნელია, როცა გარდაწყვეტ რაიმე საქმის გაკეთებას და თან პფიქრობ, ამაზედ სხვები რას იტყვიანო.

დიახ, კრატესო, ეს დიდი შეცდომაა, უფრთხილდი ამას! უბედური ხარ, თუმც მასზედ ჰეთიქრობ, რასა იტყვიან შენზედ სხვანი. რომელი თქვენგანიც მოისურვებს დაიმსახუროს დიდება და პატივი ხალხისაგან, ის ბევრ წვალებას მოითხენს. ხალხისაგან დიდებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, აბა ერთი შეხედე, ჩვენში ვისა სცემენ პატივს და ვის ეთაყვანებიან? მდიდარს. რისთვის? მისთვის რომ ფულები აქვს და არა სათნოებისთვის; დიდკაცს — მისი უპირატესობისთვის, უფრო შიშისაგან, ვინემ სიყ-

ეარულისაგან. ვინმე ლამაზს ეფერებიან იმისი გარეგნობისთვის, და არა მისი ჭკუა გონების-თვის ანუ კეთილი ცხოვრებისთვის. მესაკრავეს ანუ მხატვარს შეასხამენ ქება-დიდებას მხოლოდ მიტომ, რომ ისინი ართობენ უსაქმო აღამია-ნებს. ბევრ უპატიოსნო აღამიანს აქებენ და ეალერსებიან მხოლოდ მიტომ, რომ სარგებ-ლობენ მათგან იმათი გაჭნილობათა. ნათელი ჭკუისთვის, პატიოსნებისთვინ და სიყვარულის-თვის კი—ნუ მოელი ხალხისაგან დიდებასა და პატივსა, მისთვის რომ შენი ნათელი ჭკუა გაჰკიცხავს იმათ უსამართლოებას, პატიოსნება შენი წელს უშლის იმათ ცბიერ განზრახვათა, და სიყვარული შენი ვალად სდებს მათ-შერც-ხვეთ თავისი გულისთქმათათვის. გარნა, მიუხვ-დავად ამისა, სცხოვრებდე სათნოებითა, იქნე-ბი ბედნიერი და მოიპოვებ მეგობართა. მეგობ-რებად შენ გეყოლებიან ისინი, რომელნიც კი გაგიცნობენ და შეგიყვარებენ შენ. სხვებისაგან კი შენ გაიგონებ დაცინვასა და განკიცხვასა, მიი-ღებ ცემასა და შეფურთხებასა. მაგრამ ნუ შე-წუხდები ამისთვის, არამედ იმხიარულე, რადგა-ნაც ეს იმისი ნიშანია, რომ შენ ლირსეუ-ლად სცხოვრებ.

ასე ასწავლიდა დიოგენი თავის მოწაფეებს

საღამომდის, ბინდისას კი ისინი თავ-თავის  
სახლში ბრუნდებოდნენ, და ფიქრობდენ მის  
შესახებ, რაც მასწავლებლისაგან მოისმინეს.

## VII.

### დამოკიდებულება დიოგენისა ხალხის მითშაა-მოთხმისადმი

პრატესი, მოწაფე დიოგენისა მართალი  
იყო, როცა უთხრა მას, რომ ძნელია უბრალო  
ცხოვრების დაჩვევა, ამას ბევრი დაცინვის  
და სირცხვილის ატანა მოჰყვებაო. დიოგენსაც  
წილად ხვდა ყველა ამათი ატანა. ქსენი-  
აღს, დიოგენის ბატონს, ძლიერ უყვარდა ისა.  
ძნელი იყო მისთვის იმ დაცინვისა და ცილის  
წამების გაგონება, რომლებსაც უხვად უძღვ-  
ნიდნენ მის მეგობარს. ის მიღიოდა დიოგენთან  
და გულ-ახსნით შესჩიოდა მის ხალხის უსა-  
მართლობას. დილხანს საუბრობდნენ ისინი  
ურთიერთშორის.

— რას ამბობენ ჩემზედ? ჰკითხა ერთხელ  
დიოგენმა ქსენიადს.

— შენზედ ამბობენ, რომ განგებ ისულე-  
ლებს თავსო.

— უთხარ მათ, როცა ნახო, ლპასუხა დიო-

გენმა, რომ ისინიც განგებ იგონიერებენ თავსა.

— შენ დაგცინიან კიდევ მიტომ, რომ სასმი-  
სი გადააგდე და ტორითა სვამ.

— იმათ ხომ არ იციან, თუ რისთვისაც გადავაგდე  
სასმისი; შეიძლება მიტომ, რომ ის ძველი იყო  
და ახლის შეძენა კი საჭირო აღარ იყო, ვინაი  
დგან პატარა ბიჭისაგან ვისწავლე ტორით წყ-  
ლის სმა. თუნდაც აგრე არ იყოს, რა გამოდის  
აქედგან? მე ვიცნობ მდიდარს კლეონს. ის ოქ-  
როს სტაქნითა სვამს. გარნა მან რომ იცოდეს  
ანუ მოახერხებდეს ტორით სმას, მაშინ აღარ  
დასჭირდებოდა მზაკვრობა და სულ მდაბლო-  
ბა ამა სოფლის მძლავრთ წინაშე, რომ შეი-  
ნარჩუნოს თავისი სიმდიდრე.

შენზედ კიდევ ამბობენ, რომ შენ ხალხს  
ესაუბრები მასზედ, რისაც მოსმენა მას არა  
სურსო.

— ჩემი რა ბრალია, რომ მათ არ უყვართ  
სიმართლეს ყურიდაუგდონ?

— მათ არ მოსწონთ შენი ჩვეულება, ანუ,  
როგორც ისინი ამბობენ, შენი სულელობა.

— სულელობა! მთელი კორინთი ხომ სავსე-  
ბით სავსეა მრავალი მავნე სულელობითა; რის-  
თვის არ შეუძლიათ მომიტევონ მე ჩემი ცოტა-  
ოდენი სულელობა, რომელიც ჩემთვის სისარ-

გებლოა და სხვათა არა უნებს. ნუ თუ შენა  
გსურს, ჩემო კეთილო ქსენიადო, რომ მე არა  
მქონდეს ეს სისულელენი? მაშინ ხომ მე შევს-  
წუხდებოდი. დაე, იცინონ ჩემ ჩვეულებებზე,  
მხოლოდ ნუ დამირღვევენ მყუდრო ცხოვრებას.  
ჩემში რომ არავითარი სასაცილო არა ყოფი-  
ლიყო, ისინი ვერ აიტანდნენ ჩემს სიახლოვეს  
და ამღვიღნენ ამა სოფლისა პირისაგან.

— ძიდევ ამბობენ შენზედ, დიოგენ, რომ შენ  
აგრე უცნაურად ცხოვრებ, იცვამ და მოქმედებ  
მხოლოდ ამპარტავნობით, რათა განირჩევოდე  
სხვა ხალხისაგან.

— ამპარტავნობა რის მაქნისია? მე აგრე  
ვიქცევი თანახმად ჩემის რწმენისა; ნუ თუ კო-  
რინთელნი ეგრე შორს გამჭვრეტნი არიან, რომ  
ჩემი განზრახვაც შეუძლიათ გაითვალისწინონ  
და გაიგონ, თუ რისთვის ვიქცევი მე აგრე და არა  
სხვათრივ? თუნდაც ამპარტავნობით იყოს; ისი-  
ნიც ხომ არ არიან თავისუფალნი ამ სენისაგან,  
მაშასადამე, ჩვენ ამა ში სწორნი ვყოფილვართ.  
თუნდაც რომ ამპარტავნობის გამო ვსცხოვრებდე  
აგრე, ჩემის აზრით, მაინც აგრე სჯობია ცხოვ-  
რება, ვინემ მათ ცხოვრებას წავბაძო. უფრო  
სასარგებლოა ჩემი უბრალო საჭმლით საზრდოობა  
ვინემ მსუქან საჭმელებითა, რომლებითაც მათი  
მზარეულები შეუმჩნევლად წამოავენ მათ.

ჩაკრძალულ და სახლის მოწყობილებაშიც და სახლის მოწყობილებაშიც სჯობია უპრალოთ ვიქცევდეთ, ვინებ მდიდრებს ვბაძავდეთ.

მე ამ ზომიერებას ისე შევეჩვიე, რომ არც კი მამძიმებს, პირ იქით დიდათ მასიამოვნებს; ასე რომ არაუთარ განცხრომაში არ გავსცელი. მას შემდეგ, რაც უბრალოდ და ღარიბულად ვსცხოვრებ, მუდამ უამს მხიარული ვარ; სული ჩემი ნათელია, გონება მომქმედი, გული გრძნობიერი და ყოველივე ჩემი ძალა მე მემორიილება. ბუნების მშვენიერება მარად მახარებს, ამინდის ცვლილებასაც კარგათ შევეჩვიე: შემიძლია ფიტანო სიცხეც და სიცივეც, სიმშილიც და წყურვილიც, ქარიც და თოვლ-ჭყაპიც. აბა, ქსენიადო, თვითონ შენ გასაჯე, ნუ თუ ამჟარტავანი ადამიანი იცხოვრებს ისე, როგორც მე ვცხოვრებ?

— შენ მართალი ხარ, დიოგენ, უპასუხა ქსენიადმა. მხოლოდ მე სულ მაზედ ვფიქრობ, აბა რა მოხდება, მართლა რო ყველამ აგრე დაიწყოს ცხოვრება? თვით ბუნება ბევრ სიამო ვნებას გვაძლევს, ლესავს და აფარჯიშებს ჩვენს გონებას სხვა და სხვა მანქანების და მორთულობის გამოსაგონად. თუ შენ მართალი ხარ, მაშინ რა მოელის მეცნიერებას და ხელოვნებას? ყოველივე ჩვენთვის არის შექმნილი; ვინ უნდა

ისარგებლოს ყველა ამითი?

— ქსენიადო, თუმც შენ რასმე მიითვისებ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ის შენთვის იყოს შექმნილი. მე გიამბობ შენ ერთს იფავს: ერთმა მდიდარმა ნადიმი გამართა და მოიწვია ყველა ქვეყნიდგან მრავალი სტუმრები ყოველი. წოდებისა და სქესისა. უხვმა მასპინძელმა სტუმრებს ყოველნაირი საჭმელი შიაწოდა და ამასთანავე თვითონეულს მათგანს იმნაირი საჭმელი მიართვა, რომელიც მისთვის უფრო სასარგებლო იყო. ყველანი სვამდნენ, სჭამდნენ და მაღლობდნენ მასპინძელს. მაგრამ სტუმართ შორის აღმოჩნდა ერთი ვინმე, რომელიც არ კმაყოფილდებოდა მით, რაც წინ იდგა, არამედ შორეულ კერძებსაც სწვდებოდა და თვისკენ ითრევდა. იმას კი აღარ ფიქრობდა, რომ ყველა საჭმელი მარტო მისთვის კი არ იყო მომზადებული არც იმას—რომ ზოგნი მათგანი მომზადებულია, მხოლოდ სუსტ და „ავათ-მყოფ სტუმრებისთვი. ამნაირად ჩვენმა სტუმარმა გამოსტაცა სხვებს საჭმელი და თვითონ ყლაპა და ყლაპა; დასასრულ ეგრე ლაზათიანად გამოიბერა, რომ პირიდგან ლებინება დააწყებინა. აბა ამნაირ სტუმარზე მასპინძელი რას იტყვის და როგორ შეეჭურევა მას?

ღიოგენმა პასუხს აღარ დაუცადა და ისევ განაგრძო:

— მდიდარი და უხვი შასპინძელი გახლავსთ შუნება; სტუმრები კი-ყველა ადამიანი, მას-ზედ მცხოვრები. ღორმუცელა სტუმარი კი გახლავსთ ის მდიდარი, რომელიც თავისთვის სასმელ-საჭმელს სხვა და სხვა ქალაქებიდგან ჰკრებავს; თუმცა ჩრდილოეთში სცხოვრებს, მაგრამ სურს მაინც და მაინც სამხრეთის ნაყოფებით იკვებოს, ზამთარშიც საზაფხულო მწვანილით პირი იგემოს. დაე, თვითოვეული იმით დაკმაყოფილდეს, რაც მის ახლო იმყოფება. იმდენი სჭამოს, რამდენიც საჭიროა იმის სიმშილის მოსაკლავად, მაშინ ყველა გამძლარი და ჯანმრთელი ავდგებით ბუნების სუფრიდან. აი, ყოველივე, რაც მოხდებოდა, თუ რომ ყველა ჩემს წეს-რიგზე იცხოვრებდა. რა რიგათ მსურს რომ ადრე დადგეს ეს უამი.

— არ ვიცი, როდის დადგება ეს ღრო, უპასუხა ქსენიალმა, შენ კი ღიოგენ, რაც შეგეძლო ამნაირი ღროს დასახლოვებლად, ყოველივე უკვე შეისრულე.

## VIII

ბერიკაცი და უმოწყალო მდიდარი.

მრთხელ დიოგენი კორინთიდგან ქალაქს გარედ გავიტა სასეირნოდ. შჩვიდა, ზღვის პირად და დაინახა, ნაპირზედ ბერი კაცი ზის და გასცემერის შორს ზღვას. თითქმ ვისმეს ელოდებოდეს, ლოყებზედ კი ცხარე ცრემლები გადმოსდის. დიოგენს მოხუცი შეეცოდა, მოუჯდა გვერდით და უთხრა

„პაპა, რისთვის სტირი! ზღვისგან ვის ელოდები?

— უმ, კეთილი ადამიანო, როგორ არ ვიტირო! მე მყავდა ქალი, ახალგაზრდა, ცამეტი წლისა, ერთად ერთი ნუგეში ჩემი მოხუცებულობისა. ლამაზი იყო, კალმით ნახატი; ისეთი გონიერი და კეთილი იყო, არც კი შეიძლება აგიშერო. ერთხელ ზღვის პირად გამოვიდა სასეირნოდ, კერძების კრეფა უყვარდა. ამ დროს ნაპირს მოადგა მეკობრეთა ნავი. მათი ხომალდი კი ნაპირიდგან მოშორებით იდგა ზღვაში. ჩემთა ქალმა ვერც კი შენიშნა, ევრე მოეპარნენ და დაიჭირეს. საწყალმა ყვირილი მორთო, შის ლრიალზედ მეც მივირბინე; ვთხოვე მათ,

ვემუდარე, ვიტირე, მუხლებზედ დაუვარდი, არ შემიბრალეს. რაღაც ურთიერთშორის მოილაპარაკეს, მერმე ერთი მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— ჩვენ სანადიროთ დაუდივართ. შენი ქალი ჩინებული ნადირია; იმაში ჩვენ ბევრ ფულებს ავიღებთ. ვისაც მივყიდით, ჩვენთვის სულერთია, გსურს, შენვე მოგყიდით. მოხუცი ხარ პატივს გცემთ, ცოტას დაგჯერდებით, ერთი ტალანტის\*) მეტს არ გამოგართმევთ.

— რას მეუბნებით! ჩემს ქალში მთელი ტალანტი მე გამოვიღო!

— როგორც გსურდეს, მეუბნებიან, ჩვენთვის სულერთია; მას გასყიდვა სხვაგანაც შეგვიძლია; იმას ჩვენგან რომელიმე მეფე ანუ თავადი იყიდის. იმისი მშვენიერებისთვის ბევრს მოგვცემენ.

— ვერა გზით თავი ვერ შევაბრალე. რა უნდა მექმნა! გავიქეცი უწინდელ ჩემს ბატონთან — ხორეისთან; იმისი მოსახლობა აი აქ არის, ახლო. უწინ მე იმისი მონა ვიყავი, მაგრამ თავი გამოვისყიდე, ეხლა მეთევზე ვარ. ვიცი, რომ მას ფულები უანგარიშმ აქვს. ვფიქრობ, შეიწყალებს მოხუცს. უწინდელს

\*) ტალანტი ჩვენს ფულზე უდრის 1300 მან.

თავის მონას. მივედი, ჩაუვარდი ფეხქვეშ, ვსო-  
ხოვე და ვემუდარე.

— პრ შემიძლია. მითხრა, ეხლა თავისუ-  
ფალი ფული არა მაქვსო. პირი გაიბრუნა და  
წავიდა. ისევ ზღვის პირად დავბრუნდი: მეკობ-  
რენი მელოდნენ; რაკი დაინახეს, რომ მე ხელ  
ცალიერი დავბრუნდი, მოუსვეს ნავს და გას-  
წიეს. მე კი უგონოდ იქვე ჩავიკეცე. გონს  
რო მოუედი, ვხედავ, ხომალდი ძლივსლა მოს-  
ჩანს ჭლვის ნისლში. ეხლა ყოველ დღე მოვ-  
დივარ აქა და გავსცერი ზღვას, სულ მასა  
ვფიქრობ — ნეტავ არ დამიბრუნდება ჩემი ქალი,  
ჩემი ანგელოზი

ბერიკაცი ისევ ატირდა.

— ძლიერ მებრალები, — უთხრა დიოგენმა,  
მაგრამ რით გიშველო, არ ვიცი. მხოლოდ  
ამას კი გეტუვი, რომ ტირილი საჭირო არ  
არის, შენს ქალს ცრემლით ვერ დაიბრუნებ.   
უმჯობესია თავის საქმის ხელი მოჰკიდო, შრომა  
დარდს გაგიჭარვებს, შეგიძლია სხვა ქალი აი-  
ყვანო, იშვილო. შეიყვარე ის თავისი ქალის  
სანაცვლოდ და უკეთ შეიქნები.

— ზმადლობ კეთილო ადამიანო, ტკბილი  
სიტყვისთვის, მაგრამ ჩემი დარდი ესეთი რო-  
დია, რომ აგრე ადვილად დაივიწყებოდეს.

დიოგენი მოხუცს გამოეთხოვა და უკან გამოპროუნდა. მას ხორეთს ბალში უნდა გამოევლო, საღაც ხორეიც დაინახა.

ზოგჯერ ხორეი დიოგენთან დატიოდა იმისი სწავლის მოსასმენად! დიოკენი ხედავდა, რომ ხორეისთვის ძნელია იმისი სწავლის შესმენა, ხოლო უფრო ძნელია მისთვის ცხოვრების შეცვლა, რადგანაც მას თავისი სიმძიდრე სულზე უფრო უყვარდა.

ხორეიმ რომ დიოგენი დაინახა, ესიამოვნა და ალერსიანად მიესალმა:

— იცოცხლე, მასწავლებელო! ჩემთან შემოდი, ახალ სურათი გიჩვენებ.

დიოგენი შევიდა. ხორეიმ სურათი უჩვენა. დიოგენი ხედავს: დასატულია სამი ტიტველი ქალი, მათ ვარშემო ყვავილები და პეპლები, შეხედვაც კი სამარცხვინო იყო. ხორეი ეუბნება:

— აბა ჩემო დიოგენ, ხომ მშვენიერი სურათია? იცი რავდენი მივეცი მაგაშილ! სულ ცოტა, მხოლოდ ოთხი ტალანტი.

ოთხი ტალანტი! ეჭ ხორეი, ხორეი! შენ ვერ შესძელ ერთი ტალანტის მიცემა მოხუცის-თვის რომ მისთვის ტყვევობისაგან ქალი დაგებრუნებია ოთხს ტალანტს კი ამნაირ საძაგლობაში ხარ-

ჯავ. ეს სურათი რავდენიმე დღის შემდეგ ხომ  
მოგბეზრდება, ზედაც აღარ შეხედავ. მოხუკი  
მამა კი ეხლაც სტერის და ვერას დროს ვერ  
ინუგეშებს.

ასეთი უგულობის ნახვა დიოგენს მეტად  
შეჩიტლდა: მან კარგათ იცოდა, რომ ამნაირი  
ადამიანები ათასობით არიან, და თვითოვეული  
მაფგანი ლარიბთა ჩაგვრა-წვალებითა სცხოვრებს  
• დიოგენს სული შეუწუხდა, ვეღარ მოითმინა  
და სიტყვა წარმოსთქვა.

— ვაი, თქვენ, ვაი, მდიდარნო! ვუცქერ რა  
თქვენს სრა-სასახლეებს, ბაღებს, სურათებს,  
ძეგლებს, ოქრო-ვერცხლს და ქვირფას ძვლებს,  
ვხედავ თქვენს სათამაშოებს, თეატრებს, მათ  
გარშემო კი ვსჭრეტ ათი ჭთას მშიერ და ვა-  
ციებულ ადამიანთ, რომელთ ყინვა სიცივისა-  
გან თვეშესაფარი აოსით მოეპოვებათ, რადგან  
ნაც თქვენ მარმარილოს სრა-სასახლეებში  
სცხოვრებთ, მათ ჭრა მოეპოვებათ რა თვისი  
სიტიტელის დასაფარად, რადგანაც თქვენ რომ  
ფარჩა-აბრეშუმებში ლაპლაპებთ; არა აქვთ რა კუ-  
ჭის გამოსაძლომენ რადგანაც თქვენ ერთს ნადიმზე  
შნოან თქავთ ახოლმე კვირეულ საზრდოს ათასეუ  
ლთა. რა ცუდათ ელაპარაკობ, თქვენ ისე ვერას  
შეგასმენთ როგორც კედელს. რას არ გავიღებ-

დი, რომ ერთი თქვენგანის მოლმობიერება  
მაინც შემეძლოს.

— მოძლვარო, შენ ჩვენზედ ძლიერ უსამარ-  
თლოდ ლაპარაკობ, შეეცილა ხორეი.

— ჩვენც მოგვაჭვს სარგებლობა. ამა იფიქ-  
რე რავდენ აღამიანს საზრდოს ვაძლევთ სხვა  
და სხვა გამოგონებით, რავდენ სამუშაოს ვაძ-  
ლევთ ხალხს. ჩვენ ხელს ვუწყობთ მრეწველო-  
ბას, ხელოვნებას და ვაჭრობას.

— ხორეი, ამაებს მე ნუ მეტყვი. შენ კარ-  
გათ იცი, რომ საშინელ ცეცხლზედაც, რომე-  
ლიც სოფლებსა და ქალაქებს ანადგურებს, შე-  
იძლება ცეცხლი იშოვნო და თავის ლამპარი  
აანთო მაგრამ მას არავინ ქველ მოქმედებად  
არ აღიარებს. დიახაც რომ გამოჰკვებთ მათ,  
ვინც შრომობს თქვენდა სასარგებლოდ, თქვე-  
ნი მედიდურების და მცონარეობის. დასაკმა-  
ყოფილებლად. მაგრამ გაიხსენე, ხორეი, რავდე-  
ნი აღამიანია, რომელთაც არ შეუძლიათ თქვენს.  
უინს ემსახურონ, რაედენი აღამიანი იხოცება  
სიღატაკეში. გაიხსენე ის უბიშო ქალიშვი-  
ლი, რომლისაგანაც შენი სურათი გადმოხატუ  
ლია. შენ ამ სურათში უანგარიშთ ფულებს  
ფლანგავ მაშინ, როცა ნახევარი ამ ფულით  
შეგეძლო სამუდამოდ დაგეხსნა გარყვნილობი-

საგან ის საკოდავი ქალიშვილი. რავდენი უმ წეო ობოლნი საჭიროებენ მზრუნველობასა. მითხარი, რავლენი ათასი ადამიანი გაჭივრებაში უნდა იყოს მხოლოდ მისთვის, რომ ერთმა თქვენგანმა ყოველ წლობით ასიათასობით ჰქონდან გოს! თქვენ ვალდებული ხართ პქმნათ სიკეთე, თუნდ მხოლოდ მისთვის, რომ თავიდას აგშოროთ მძულვარება, რომელსაც ხალხში ნერგავს თქვენი უგუნური ფლანგვა. ბევრს, ძლიერ ბევრს ადამიანს, თუ გინდ პირუტყვსავით იშრომოს, არ შეუძლია მოიპოვოს თავის შეილებისათვის, იმდენი პურა, რავდენსაც თქვენ ძალლებს აძლევთ საზრდოოთ. დაფიქრდი ამაზედ, ხორეი, და გონს მოჟი!

## IX.

განკიცხვა პირმოთნეობისა და სხვათა  
გიზის ჩათვა.

აგრე პკიცხავდა დიოგენი არა მარტო უგულო მღიღრებს, არამედ ბევრს სხვებსაც, ვისშიაც კი უსამართლოების და ბოროტებას დაინახავდა, ხოლმე.

თვის სასაუბროდ ის არ ეძებდა რომელსამე განსაზღვრულ ადგილს, არც ითხოვდა რომ მისთვის სახლი ანუ სკოლა აეშენებინათ. გამოვიდოდა გზაზედ, ანუ მოედანზედ, ვისმეს შეხვდებოდა, გააჩერებდა, და საუბარს დაუწყებდა და რაიმე სასარგებლოს ეტყოდა. ამასობაში სხვებიც მოვიდოდნენ, შეგროვდებოდნენ მსმენელნი, დაუწყებდნენ მას. კითხვასადა ისიც ასწავლიდა მათ. ბატონი დიოგენისა, ქსენიადი ნებას აძლევდა მას, როცა სურდა, სხვაგან წასულიყო. დიოგენიც დადიოდა სხვადა სხვა ქალაქებში; მაგრამ ყველაზედ მეტაური კი კორინთში და ათინაში ასწავლიდა. ათინაში ის ზამთრობით შიდიოდა, ზაფხულში კი კორინთში რჩებოდა. ის თავისთვის იტყოდა ხოლმე:

— მე თითქო სპარსეთის მეფე ვიყო, ზაფხულს ჩემი სამეფოის ერთ მხარეს ვატარებ, ზამთრობით კი მეორე მხარეს გადავდივარ.

შველაზედ მეტად დიოგენს აღშფოთებდა პირფერობა და ფარისევლობა ხალხისა, და განუწყვეტლივ არიგებდა მას თავისი სულიერი ბიწიერება არ დაეფარა არც მორთული ტანთ-საცმელით, არც სიმდიდრით, არც ბატონობით და უფლებით ხალხსაზედა

და არცა ხარისხითა და სწავლითა.

მრთხელ დიოგენმა ახალგაზრდა კაცი დაინახა მღილრულ და ბწყინვალე ტანთ საცმელში. მისი სახე ამპარტავნულად გამოიყურებოდა, იტყობოდა, რომ თავი დიდკაცად მოჰქონდა. მაგრამ მისი საუბრისაგან აშკარად გამოსჩანდა რმისი არარაობა და გარევნილება. დიოგენი მივიღა მასთან და უთხრა: „როცა მე შენ და- გინახე და შემდეგ შენი სიტყვები ვისმინე, მე წარმომიდგა, ეითომ ჩემს ჭინ მშვენიერ ქარ- ქაშისაგან, რომელიც ოქროთი და სპილოს ძვლით გაჭედილია, ვრღამაც ჩლუნგი და უა- გიანი ხმალი ამოიღო.“

ბერძნებს ჩვეულებათ ჰქონდათ ლომის ტყავისაგან შეკერილ წარმოსასხამით დაესაჩუქ- რებიათ ის, ვინც კეთილი მოქმედებით სა- ზოგადოებაში სახელს მოიხვეჭდა,

მრთხელ დიოგენმა დაინახა ერთი კაცი, რომელსაც, თუმც შესჭიშნავი არაფრით იყო, ლომის ტყავი ჩაეცვა, რომ ხალხისაგან. პატი- ვი მოეპოვებინა. დიოგენი მივიღა მასთან და უთხრა: „რისთვის არცხვენ, ნიშანს სათნოე- ბისა! არა იმან გავამშვენიერა შენ, არამედ შენ გასვარე ისა.“

იმ ადამიანთ, რომელნიც პატიოსნებაზე

ბევრს ლაპარაკობდნენ, ხოლო კი უპატიოსნოთ სცხოვრებდნენ, დიოგენი ჩანგურებს უწოდებ და: „ირაფლუნეთ ხმა მაღლა, ეტყოდა მათ, შიგნით თქვენ ცარიელნი ხართ და სარგებლობაც თქვენგან არავითარი არ არის“.

შალაქ ათინაში სცხოვრებდა კაცი მეტად ამპარტავანი, რომელიც თავის თავს წმინდანათ რაცედა. მას სურდა, რომ ბიწიერთაგანი არავინ მიჰკარებოდა,— მათგან თავი დაეფარა. ადგა და თავის სახლზე წააწერა: „არა შემოვიდეს სახლსა ჩემსა ბიწიერთაგანი.“ ამ სახლის ახლო გაიარა დიოგენმა, გაჩერიდა და წარწერას კითხვა დაუწყო. მას გარშემო შეგროვდა ხალხი და ელოდა, რას იტყვის იგიო. დიოგენმა ხმა მაღლა, ყველას გასაგონათ წაიკითხა, ეს: წარწერა. შემდეგ მოუბრუნდა ხალხს და ჰკია:

— ნეტავ, თვით სახლის პატრონი როგორა შედის მანდაო?

ნასწავლით, მესაკრავეთ და მქადაგებელთ დიოგენი ჰკიცხავდა პირფერობისათვის; მან კარგათ იცოდა, რომ ისინი მეცადინეობენ არა ხალხის სასარფებლოდ, არამედ მიტომ, რომ უზრუნველ ჰკონ თავისი მდგრამარეობა.

— თქვენ მესაკრავენო, ეტყოდა ისა, თავ-

გაღადებით ზრუნავთ, მასზედ, რომ თავისი საკრავები მოაწყოთ, გსურთ, რათა მათ გა მოსცენ ხმა საამური, მაგრამ მასზედ სრულიად არ ფიქრობთ, რომ თავისი სული მოაწყოთ კეთილ მოქმედებისთვის.

ნასწავლთ ის ეუბნებოდა: თქვენ დიდის შეცალინეობით სწავლობთ რა უბედურება შეე-მოხვა რომელიმე უძველეს მეფეს თვის მოგზა- ურობის დროს, მაგრამ თავი და თავი ბიწირე- ბანი, რომელნიც დამიანებისათვის დიდათ მავნებელნი არიან, არ იცით. თქვენ დურბინ- დით იცქირებით მზესა და მთვარეზე, თვალს აღევნებთ იმათ მოძრაობას, ხოლო თვის ცხვირ წინ ვერა დაგინახავსთ რა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ბორბიკობთ. თქვენს გარშემო გაისმის ოხვრა და კვნესა ხალხისა, რომელსაც სიცივე და სიმშილი სულს უხუთავს, თქვენ კი პლა- ნეტებზე ეძიებთ მცხოვრებლებს,“

— მქადაგებელთ, ამბობდა ის, უყვართ სა- უბარი სამართლიანობაზე, ხოლო მართლად მოქმედება კი არა.

შარმართთა ლვთის მსახურების ჩვეულება- ებს ის რაცხდა პირფერობად, რის გამო ხალხს სასტრუქად ჰკიცხავდა და დასცინდა. ერთხელ ის ტაძარში შევრდა. მლოცველნი კერპის წინაშე

პირქვე მიწაზედ იყვნენ გაწოლილნი. დიოგენ-  
მა ხმა მაღლა წარმოსოქვა:

მრთიც ვნახოთ, უეცრივ ღმერთი თქვენს  
უკან გამოჩნდეს, მაშინ ხომ შეგრცხვებათ.

მეორედ დიოგენი შეება ქურუმს, რომე-  
ლიც ამტკიცებდა, რომ კერპი, რომელსაც ის  
მსახურებს, სასწაულთ მომქმედია. დიოგენი კი  
ეუბნებოდა, ტცუილი არისო. ქურუმმა ტაძარ-  
ში შეიყვანა ის, უჩვენა მრავალი შემოწირუ-  
ლი მსხვერპლი და უთხრა:

— შეხედე, რავდენი მსხვერპლი შემოსწი-  
რეს დიანა ღმერთს იმისი სასწაულთ მოქმედე-  
ბისთვის, განკურნების და სხვა და სხვა თხოვ-  
ნების აღსრულებისთვინ! ნუ თუ ის არა მოწ-  
მობს მის ძლიერებაზე?

ავაზად დიოგენმა უპასუხა:

— ჩვეულება რო ჰქონდეთ აუსრულებელ  
თხოვნისთვისაც მსხვერპლი სწირონ, მაშინ უფ  
რო ბევრი მსხვერპლი იქნებოდათ!

მრთხელ დიოგენს ჰკითხეს: ხალხში ყვე-  
ლაზე უმშვენიერესი რა არისო? მან უპასუხა:  
უბრალოება და გულწრფელობა. გულწრფე-  
ლი აღამიანი ყველასთან გულგახსნილია. ის  
თუ შეცდება, სხვანი მიეშველებიან, შეცდო-  
მას გაასწორებინებენ და ნუგეშს სცემენ.

გულჩახვეული ადამიანი კი თავის შეცდომას  
და ცოდვას თავისთვინ ინახავს, რომელიც  
ღრღნის მის სულს, როგორც შინაგანი სენი,  
არავინ იცის, როგორ ჰქონდას ისა, და ავათ  
მყოფიც კვლება უშემწეოდ საშინელი ტან-  
ჯვით.

თვით დიოგენიც აგრე სკეოვრებდა ყვე-  
ლასთან გულგახსნით, დაუარული არა ჰქონია  
რა: „დაე, ამბობდა ისა, მე რაცა ვარ, ყველა  
ხელავდეს, შეცდომაში მაინც აღარ ჩავარდე-  
ბიან, და თუმც მაქებენ, ღირსი ვიქნები, მა-  
ძაგებენ და ისიც ღირსეული იქნება?

ზარეგანი მორთულობა და გამშვენიერება  
არ უყვარდა, ამიტომაც კოხტებს და პრანჭი-  
ებს მისგან ბევრჯერ მოხვდებოდათ ხოლმე.

მრთხელ მასთან მივიღა ახალგაზრდა ყმაწვი  
სუ. გასურნელოვანებული თმა-დახუხუჭებული,  
თითქო კეკლუცი ქალიაო, და დიოგენს რალაც  
კითხა. დიოგენმა შეხედა და უთხრა: „არ  
შემიძლია პასუხი მოგცე, რადგანაც ვერ გა-  
მიგია ვინა სდგას ჩემს წინაშე — მაშაკაცი  
თუ დედაკაცი.“

მრთხელ დიოგენი შევიდა თავის ნაკრძაბ  
თან და ნახა, როგორ იკაზმებოდა ის და იმშვე-  
ნიერებდა თავის სხეულს? დიოგენმა ჰკითხა

მას: „ვისთვის შერები ამას“ თუმც მამაკა ცებისთვის, შემცდარი ხარ, ამით მათ ვერ გააკვირვებ, და თუმც დედა-კაცებისთვის, მაშინ შენ გარყვნილებას ემსახურები.“

მრთხელ შეკრებილებაში დიოგენთან მივიღა კაცი მეტად გასურნელოვანებული. დიოგენი მიუბრუნდა მას და უთხრა: „შენ ზრუნავ მასზედ, რომ შენს თავსა და ხელებს კაისუნი სდიოდეს; უმჯობესია იმაზე იზრუნო რომ შენმა ცხოვრებამ არ გამოსცეს სიმყრალე ბიწიერებისა.“

ვიღაცამ დაცინვით დიოგენს აჩუქა ერთი შუშა სურნელოვანი ზეთი. დიოგენმა აიღო და მთელი შუშა ფეხებზედ დაისხა.

— რისთვის ჰქენ ესაო? ჰკითხეს. აბა რა უნდა მექნა? უპასუხა: ითავზუ რო ვადაშესხა, სუნი ზეცით წავიდოდა, მე კი ვერას ვიგრძნობ დი, ეხლა კი სუნი ფეხებიდგან პირდაპირ ცხვირთან ამოდისო“

შველა ბიწიერებას ხალხისას ჰკიცხავდა დიოგენი და ამბობდა: როგორც მონა ემორჩილებოდა ბატონს, ისე შინაური ადამიანი ემორჩილება თავის ვნებათა და ჰკარგავს უძვირფას საუნჯეს თავის სულისა — თავისუფლებას.

დიოგენი ხშირად მსჯელობდა ჰკეშმარიტ

ბეღნიერებაზედ და წესიერს ცხოვრებაზედ. ის მეტად სწუხდა, რომ ადამიანი, გონიერი ლვთის ქმნილება, გზა დაბნეულია, მან დაჰკარგა ხატება ლვთისა, აღარ ადამიანობს. ამ ჰაზრს ის ხშირად წარმოსთვამდა ხოლმე.

მრთხელ, როცა ის გამოდიოდა საზოგადო აბანოდგან ვიღამაც ჰკითხა.

— ბევრია იქ ხალხიო?

— ხალხი, ბევრია, მხოლოდ ნამდვილი ადამიანი კი არ შემხვედრიაო, უპასუხადიოგენმა,

მეორე ჯერ იმან გაიარა მოედანზედ და დაინახა, ხალხის გროვა, რომელიც ირეოდა ბაზარში; ყველა ჰყოიროდა, იგინებოდა, ვაჭრები მუშტრებს ატყუებდნენ, მდიდარნი ჰყიდულობდნენ არა საჭირო ნივთს და უბრალოდ ფულებს ფლანგავდნენ. დიოგენი გაჩერდა შესა მოედანზედ და დაიძახა: ხალხო, ჩემთან მოგროვდით!“ ხალხის გროვა გაექანა მისკენ და ირგლივ შემოერტყა მას.

— რისთვის მოსულხართ ჩემთან. ჰკითხა მათ დიოგენმა.—რა გსურთ ჩემგან? მე თქვენ კი არ გიხმობდით, არამედ ადამიანებს; და მათ კი თქვენს შორის უერა ვხედავ.

მრთხელ კიდევ ასეც მოხდა: დღისით აიღო მან ფანარი და ქალაქის ქუჩებში დაიწყო

სიარული. დადის, ყველა ქუჩის კუნჭულში იც-  
ჭირება, თითქო რასმეს ეძებსო. გააჩერეს  
და ჰკითხეს: რას ეძებ? — მან წყენით უპასუხა: —  
მე ვეძებ კაცს. მას შემდგ ანდაზად არის შე-  
მოლებული; როცა უნდათ სთქვან: „იშვიათი  
კაცია, მეორეს მაგისთანას ვერც კი ნახავო,“  
მასზედ იტყვიან ხოლმე: „ამისთანა კაცს დღი-  
სით ფანრითაც რო ეძებო, ვერ იპოვნი“.

როცა დიოგენს ვინმე დასცინებდა, ანუ  
შეაგინებდა, ის ხშირად მოსწრებული სიტყვით  
მოუჭრიდა დაცინვას და თვით დამცინვს უკა-  
ნვე უბრუნდებოდა მისი გინება: ერთმა ქაჩალ-  
მა მოედანზედ დიოგენს დაცინვა და გინება  
დაუწყო: დიოგენმა უთბრა:

მე სრულიად არ გიჯავრდები, მხოლოდ  
მეტად ვაქებ შენს თმებს მიტომ, რომ შენი უხე-  
ირო თავისაგან გაშორებულან.

ბევრ შემთხვევაში დიოგენი თავისი გამ-  
ჭრიახობით და ჰკურით ანცვითრებდა ხალხს.

ერთხელ მას ჰკითხეს: — „ქვეუნიერებაზე  
ყველაზე უფრო მოსისხლე მხეცი რომელია?“ —  
მან უპასუხა: მთებში და ტყეში — ლომნი და  
ლათვნი, ხოლო ქალაქებში — მოიჯარადრენი და  
ჯაშუშნი,“

მრთხელდიოგენმა ერთს მდიდარს მოწყალება სთხოვა; მდიდარმა უარი უთხრა. ერთმა მაყურებელთაგანმა, რომელმაც იცოდა, რომ დიოგენს ხშირად ეუბნებიან უარს, ჰკითხა მას: — რით ახსნება ისა, რომ ზოგნი ადამიანნი კოჭლთა და გლახაკთ სიხარულით მიაწვდიან მოწყალებასა, ხოლო ბრძენს კი უარს ეუბნებიანო?“

— უსათურდ მიტომაო, — უპასუხა დიოგენმა, რომ ეშინიათ თვით არ გახდნენ კოჭლნი და გლახაკნი, მაგრამ ის კარგათ იციან, რომ ბრძნებად ვერასოდეს ვერ გახდებიან, და მიტომაც არ ებრალებათ ისინიო.

დიოგენი მდიდართან შევიდა, რომელსაც ლხინი ჰქონდა გამართული. დიოგენს დიდი აზართაშით ღვინო მიაწოდეს. მან აიღო და იატაკზე დალვარა. სახლის პატრონი და სტუმარი მივარდნენ დიოგენს, ამოდენა ძეირფასი ღვინო მუქთად რისთვის გააოხრეო? დიოგენმა უპასუხა: მე რო ის დამელია, მაინც დაკარგული იქნებოდა, და თან მეც მავნებდაო. ეხლა ის თუმცა კი დაიკარგა, მაგრამ ჩრმთვის არა უვნია რაო.“

ბერძნებს ჩვეულებათ ჰქონდათ: ვინც ჯირითში ანუ კრივში გაიმარჯვებდა, დაფნის

გვირგვინით დაასაჩუქრებდენ. ერთხელ დიოგენ-  
მა შეკრებულებაში ამნაირა გვარგვინი დაიდგა  
თავზე. ეს კანონის და ჩვეულების წინააღმდეგი  
იყო და ბევრმა კიცხვა დაუწყო დიოგენს,  
კანონს არ ემორჩილებათ.

სხვებს რისთვის ადვამთ გვირგვინებს, თუ  
მე მიკრძალავთ მის ტარებასაო? ჰკითხა მათ  
დიოგენმა.

— მიტომ, რომ შენ არავიზედ არ გაგიმარ-  
ჯვიაო, — უპასუხეს მას.

— ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ მეც გა-  
მარჯვებული ვარ, — უთხრა დიოგენმა. — თქვენ  
ჯირითებში და კრივში გამარჯვებულთ ასაჩუქ-  
რებთ, მაგრამ იქ ხომ პატივის მოყვარებასა და  
ანგარებისათვის იბრძვიან, მე კი უმძლავრეს  
მტერზე გაეიმარჯვე. მე თავის თავში დავამარ-  
ცხე მონობა და თავისუფლება დავიპყარ; მე  
ვსძლიე სირცხვილსა და წყრომასა; მოვერიე  
სატკივართა, გაუმაძლრობასა და შიშა; დასას-  
რულ, მე ვსძლიე საშინელსა და მიუკარებელ  
მხეცს-ბოროტებას და ამპარტავნობას, მე გავი-  
მარჯვე განცხრომასაზედა.

დიოგენის ბევრმა ამ გვარმა მოთხრობამა  
და მოსწრებულმა სიტყვამ მოალწია ჩვენ დრომ-  
დის. ჩვენ კი აქ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენსამე  
მათგანს.

X.

როგორ დაიცვა დიოგენეა უდანაშაულო.

მრთხელ დიოგენი ხის ჭვეშ იწვა, სიცხეს  
ემალებოდა, და ჩაფიქრებულიყო ცხოვრებაზე.  
დაინახა მასთან მიმავალი კაცი. პირველად დიო-  
გენს ეწყინა, „ხელს შემიშლის ის ჩემს საყვა-  
რელ საქმეშიო,“ გაიფიქრა თავისთვის — და შერ-  
ცხვა: რა უფლება მაქვს მე, სოჭვა თავისთვის,  
— გავუჯავრდე, რომ ჩემთან სტუმარი მოდის?  
ნუ თუ სტუმარს შეუძლია იცოდეს, რომ მე  
ეხლა მასთან მუსაიფის სურვილი არა მაქვს? აკ  
დიოგენო, დიოგენო, შვილო იცესისაო, შე-  
ნებრ სულელს კიდევ ბევრი სწავლა სჭირია.

დიოგენი ხშირად ასე იმაგრებდა თაეს,  
როცა კი რაიმე ცუდი აზრი მოუვიდოდა თავში.

ის კაცი ახლო მივიდა და მიესალმა. ეს  
გახლდათ კლინი, მდიდარი და ლოთი.

პშისთანა კაცებს ხშირად მოხვდებოდა  
ხოლმე მასწავლებლისაგან. დიოგენმა კარგად  
იცოდა, თუ რამდენ ცრებმლად ღირდა მათი ქეიფი:

— როგორა სცხოვრობ, დიოგენო, ჰკითხა  
კლინმა.

— პსე, გვარიანად უპასუხა დიოგენმა.

— მე მსურს ცოტა ხნით შენთან დავსჯდე.

— დაჯექ, თუმც სხვა საქმე არაფერი გაქვს.

— მართლაც არაფერი საქმე არა მაქვს; ეპ, კინაღამ დამავიწყდა. მაქვს პატარა საქმე: ქალაქის მოედანზე უნდა გავიდე.

— რისთვის?

— აქ დღეს ერთ კაცს, ყოვლად უმანკოს, დასასჯელად ასამართლებენ. იმისი ცოლი გუშინ ჩემთან იყო, ბრალდებულის დაცვა მთხოვა. მე იმ კაცს კარგად ვიცნობ.

— მაშ რაღასა ფიქრობ?

— ხურვილი აღარა მაქვს, გუშინ შევპირდი, დღეს კი გადავფიქრე.

— როგორ თუ გადაფიქრე? როგორ თუ სურვილი არა გაქვს? ხომ დაიღუპა ის საწყალი!

— მამ, დიოგენო, იცი, გუშინ მე ნადიმზე ვიყავი ამხანაგთან, იქ მეტი დავლიე, ეხლა თავი ისე მაქვს გაბრუებული, თითქო ნათხოვარი იყოს, ჰაზრები ირევიან ეხლა აღარსად არ ვარგვარ. მამ, გუშინ მან ეგრე ლმობიერად მთხოვა, რომ თავი შემაბრალა. ორი პატარა ბალლი თან მოიყვანა. მეუბნება, ესენი მაინც შეიბრალე, თუმც მამა დასაჯეს, მათხოვრობა უნდა დაიწყონო. ბალლებმა გული ამოისკვნეს, დედას მიეკვრენ, — მეც კი ცრემლები მომერია. დედა მეტად ლამაზი იყო. ხომ იცი, ადამიანი

სუსტია, მეც სიტყვა გადავუკარ... შენზეა დამო-  
კიდებული მეიქი. ის კი გაჯავრდა. მშვიდობი-  
თო, მითხრა, ავათ ნუ მომიხსენიებო. ჩვენ  
კი, სჩანს, ასეთი ბედი გვქონია, უნდა დავი-  
ხოცოთო.

— რას ამბობ, კლინი, გონს მოდი! დაუ-  
ყვირა დიოგენმა. ნუ თუ იმ დროს, როცა  
შენს წინაშე დედა ბავშვებითურთ სტიროდა,  
შენ ამისთანა საქმე გაიფიქრე?!

— ჰა, აბა, შენ გსურს ყოველ ქამს მასწა-  
ვლო, მე კი ეხლა მაგისთვის სრულიად არა  
მცალიან. წაეკლ, გავისეირნებ. აქ მეგობარი  
მხატვარი მყავს; ისეთს სურათს მიხატავს რომ  
საუცხოვო რამ არის! არა გსურს, რომ შენც  
ნახო? წამოდი ჩემთან!

— არა ძმობილო, გმაღლობ, შენ  
შემიშფოთე გული რომ ეხლა იმ ჯალა-  
ბობაზე ფიქრი ჩემი თავიდგან აღარ გამო-  
დის. დაფიქრდი, კლინი, განა ხუმრობაა?

მდიდარი წავიდა, დიოგენი კი გამოურ-  
კვეველ ფიქრებში დარჩა; მტირალნი ბალლნი  
მამისთვის მომუდარენი, თვალწინ უდგანან,  
ძოსვენებას არ აძოევდნ.

— იპ, საბრალო, ფიქრობს, მოდი, წავალ

და დავიცავ მას. ძალიან მსურს, რომ ვუშველო, მაგრამ მარტო სურვილი ბევრს ვერას გააკეთებს მსაჯულთ უფროსი არა ვარ, ნაცნობობა მათ-თან არა მაქვს, ზედაც არ შემხედვენ... არა, მაინც უნდა წავიდე, ვეცადო.

დიოგენი წავიდა. გავიდა მოედანზე; გა-სამართლება ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო. დაი-ნახა ერთი მსაჯულთაგანი, მივიდა მასთან და სთხოვა ეამბნა, რაში მდგომარეობდა საქმე.

— ძლიერ მენანება ის კაცი, უპასუხა მსა-ჯულმა: — უბრალოდ იკარგება, დანაშაულობა კი ერთ კვერცხად არა ღირს.

— რა დანაშაულობა?

— სახელმწიფო ფულები ებარა შესანახად. მტკიცე ხასიათის კაცია, პატიოსანი, მფლანგველი როლია. ერთ კაცს შური ჭიქონდა მისი და მო-ინდომა იმისი დაღუპვა. მივიდა მასთან და სასამართლოდგან მიუტანა ყალბი ბარათი; რო-მელშიაც ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფო პოთხოვნილებათათვის ფულები არის საჭირო. იმანაც აიღო და მისცა, ხოლო ფულებმა ჩაიღულის წყალი დალია. შემდეგ, როცა ხა-ზინა შეამოწმეს, ფულები დააკლდა, ამიტომ დაიჭირეს საწყალი და დღეს სასამართლებენ.

დიოგენს ის საწყალი კიდევ უფრო შეეცოდა.

— რაც ძალი და ღონე შექვეს, არ დავზოგავ, — სთქვა თავისთვის. — ზოგჯერ, რაცი ლპარაკს დავიწყებ, კარგათ მომდის ხოლმე.

ზესამართლების დროულ დადგა. ბრალ დებული სდგას, ეშინია, სიტყვის თქმა არ ძალუქს გრძნობს, საქმე ცუდათ არის.

მსაჯულებმა საქმის გარჩევა დაიწყეს და წესისამებრ გამოიწოდეს დამცველი.

— ვინ წარმოსთქვამს სიტყვას დამნაშაუის დასაცველად?

დიოგენი წამოსდგა წინ და მსაჯულთ მიმართა.

— უფალო მსაჯულნო, — დააწყო მან, — არის თქვენშე სინიღისი? თქვენ გაღუპინებენ აზამიანს, ყოვლად უდანაშაულოს. შეხედეთ, აი ცოლი მისი, ახალგაზდა დიასახლისი თქვენ წინაშე სდგას, ბალონი კი ტანთ საცმელზე ებლაუჭებიან, კარგათ შეხედეთ, ფერი მთლად დაჭკარგვიათ!

მოედანზედ ხმაურუბა შეწყდა, მსაჯულებმა თავი ჩაღუნეს. დიოგენმა კი განაგრძო და ყველა, უამბო, რაც ბრალდებულზე კარგი რამ იცოდა, სახეოვა, ემუდარა მსაჯულთ გამოეჩინათ მართლ-მსაჯულება და შეეწყნარებინათ ისა. მართლაც და დიოგენის გრძნობით სავსე სიტყვამ მსაჯულებზე დიდი გავლენა

იქონია. იმათი რკინის გული გაალბო და მოწინაალმდევენი დაამარცხა. ისინი ერთი მეორეს შეეკითხენ, უმრავლესობა დამნაშავის მომხრე აღმოჩნდა. უფროსმა მსაჯულმა გამოაცხადა, რომ ბრალდებული გამართლებულია.

ცოლი და შეილნი მიცვივდნენ მას ეხვევიან. ხალხი ხმაურობს. დიოგენი კი, რომლის წყალობითაც მოხდა ყოველივე ესა, გამოსცილდა ხალხის გროვას და წყნარი ნაბიჯით თავის ბინისკენ გასწია.

ზანუსაზღვრელ სიხარულსა და თავისუფლებას გრძნობდა მაშინ იგი. იმ საღამოს ისეთი ბედნიერი იყო ის, რომ სხვა დროს არა ყოფილა.

## XI.

### დიოგენი და ვაჭედი.

მრთხელ დიოგენი ჭალაში წავიდა, რომელიც ზღვის პირად მდებარეობდა. მიდის დიოგენი ამ ჭალაში და ხედავს: გზაზედ კაცი ჭის, ლარიბულად ჩატმული, და სავახშმოდ ემზადება.

ამ კაცმა გახსნა გუდა, ამოილო გამხმარი

პური, რაღაც მცენარის ფესვები და ჭამა და-  
ხწყო.

— რა სასწაულია! — ფიქრობს დიოგენი. კარ  
გათ დაკვირვების შემდეგ მოაგონდა, რომ ეს  
კაცი ათინაში უნახავს და კიდევაც იცნობს მას.

დიოგენმა იცოდა, რომ ამ კაცს აუარე-  
ბელი სიმდიდრე ჰქონდა და მედიდურად სც-  
ხოვრებდა. სახელიც მალე მოაგონდა და მიე-  
სალმა.

— გამარჯობა, ვაქხიდო, ნუ თუ შენა ხარ ესა?

— მევარ, დიოგენო, მე ძლიერ კარგ დროს  
შეგხვდი. ათინიდგან შენთან მოვდივარ, მსურს  
შენს სკოლაში შემოვიდე.

— მე სკოლა არა მაქვს.

— არა უშავს რა, მე გავხდები პირველი  
შენი მოწაფე.

— ჩემგან რა უნდა ისწავლო? როცა მე  
ათინიდგან მოვდიოდი, შენ ბედნიერი და კმა-  
ყოფილი იყავ ყოვლის მხრით.

— მა, დიოგენო, ის დრო წავიდა, ხედავ,  
ეხლა გლახაკი ვარ; გთხოვ, მასწავლო, რო-  
გორ შემიძლია კვლავ ბედნიერი გავხდე.

— სად გავჭრა შენი სიმდიდრე! უბედურე-  
ბა ხომ არ შეგემთხვა?

— არა, უბედურება არაფერი შემხვედრია,

ათი წლის განმავლობაში გავფლანგე ყოველი-  
ვე, რაც კი მამამ დამიტოვა. სამაგიეროდ რო-  
გორ ვსცხოვრებდი! შენ კარგათ გახსოვს დიო-  
გენო, ათინაში მე პირველი მდიდარი ვიყავი;  
მე მქონდა სახლები, მამულები, ქარხნები და  
საკუთარი ხომალდები; ხალხშიაც, საღაც  
მე ვსცხოვრობდი, რავდენი სურათი და  
ქანდაკება მქონდა, რავდენი ოქრო და  
ძვირფასი ქვები.. მსახურნი და მონანი ყვე-  
ლა ჩემს ოცნებას ასრულებდნენ! რავდენი აღა  
მიანი შურით მიცემოდა! მე ვტკბებოდი  
ყოველივე ამით და ჩემი სიმდიდრე მედიდუ-  
რობას, დღესასწაულებს და ნადიმებს გადავალიე!

— რაკი ფულებს აგრე ფანტავდი, უთუოდ  
ბევრი მეგობარი შეიძინე?

— მეგობარი? დიახაც მყვანდნენ მაშინ,  
როცა მათთან ვქეიფობდი, უხლა კი ყველა  
შემომეცალა. შენ მაინც მიშველე, დიოგენო,  
მასწავლე, როგორ მოვიქცე?

— მე რა უნდა გაგიკეთო, ვაქხიდო? გსურს,  
რომ კიდევ დაგიბრუნდეს შენი სიმდიდრე?

— დიაღაც რომ მსურს; განა ეს კი შესაძ-  
ლოა?

— შეუძლებელი არაფერია, მხოლოდ რაკი  
აგრეა, მებრალები: შენი გაბედნიერება საძნელოა.

— აბა მე ვინდა დამიბრუნებს ჩემს სიმდი-  
ლოეს?

— შრომით, ბეჯითობით, ზომიერი ცხოვ-  
რებით ყოველივე მოიპოვებაჭ თქმო მიწაში  
სძევს, მოსთხარე და იპოვნი.

მს კი აგრეა, დიოგენო, მაგრამ უბედურება  
ისაა, რომ მიწისთხრა მე არ მიყვარს. თუ  
გინდ რომ მოვინდომო, არ ვიცი. ყველა მუშა-  
ობას შესწავლა უნდა. მე კი არაფერი არ მისა-  
წავლია.

— მაშ სამსახურში შედა სადმე, უსათუოდ  
მოგცემენ ადგილს, რადგან საპატიო გვარისა ხარ.

— სად უნდა შევიდე, კარგს ადგილს არ  
მომცემენ, ამისთვის ცოტაოდენი ცოდნა მაინც  
არის საჭირო, მცირე ადგილი კი მე თვითონ  
არა მსურს.

— მაშ ძლიერ მცირე პატიოსანი საშვალებალა  
დაგრჩენია არსებობისათვის ლუკმა პურის მოსა-  
პოვებლად!

— მსე ყოველივე ვიცი, დიოგენ, მე სხვა-  
სა გთხოვ; მასწავლე, ამნაირ მღვმარეობაში  
როგორ გავხდე ბედნიერი, გაჭირებაში ბედნიე-  
რად როგორ ვიცხოვრო; როგორ გაეხდე ისე-  
თი ლარიბი და თან ისეთი ბედნიერი, როგორც  
შენ, დიოგენო!

— მე რომ ბედნიერი ვარ, ის მართალია, ვაჭ-

ხილო, მაგრამ გაჭირებაში ბედნიერად ცხოვრება  
ძნელია; შენ გავიწყდება, რომ მე ლარიბი არა  
ვარ, მე ყველა მდიდრებზე უძღიდრესი ვარ,  
მიტომ რომ მე ყოველთვის მეტი მაქვს, ვინემ  
ვსაჭიროებ, მე არას დროს არაფერს ვსაჭიროებ.  
მე ისე ცოტა მჭირდება, რომ ყოველგან ვშო-  
ულობ მას, და არა დროს არა ვგრძ-  
ენდ საჭიროებას. აბა შემომხედე მე, რა  
ყოჩაღათ და ჯანმრთელიად ვარ,—ეს მიტომ,  
რომ მე ცოტა მჭირდება! მე ვშველი მონებს  
სამძიმო სამუშაოში, რათა გადანარჩენი ძალა  
დავხარჯო.

ვაჭხილმა გაცვირებით შეხედა დიოგენს.

— სხეული—განაგრძო დიოგენშა,—იარალია  
ჩვენის სულის მოქმედებისთვის. ოვალ—ყური  
უნდა ადევნო, რათა ის წესიერად იმყოფებო-  
დეს. მაშინ სულიც უფრო ადვილად იმოქმე-  
დებს. ხოლო სამუშაო მას ბევრი აქვს. მეგობ-  
რის თანაგრძნება მას შეელის. მეგობარს კი  
მაშინ შეიძენ, როცა არც შენ მისგან და არც  
ის შენგან არავითარ საჩუქარს არ მოელის.  
ეს ჩემთვის უფრო ადვილია, ვინემ სხვისთვის.  
ამიტომაც მე მყვანან მეგობარები, რომელნიც  
ნუგეშს მცემენ მე.

ეს ყველა ეგრეა, დიოგენო, მაგრამ მე რომ

გიცქერ—ლობიოთი და ფესვებით იკვებები. მაზარას იცვამ და როგორც ამბობენ, პაწაწკინ-ტელა უხეირო ოთახში სცხოვრებ.

— სამაგიეროდ აგარაკიცა მაქვს. ჩემთან თუ იცხოვრებ, საზაფხულო სახლი უფრო განიერი მაქვს. აქ ახლო, ზღვის პირად არის გამოქვაბული, ღამეს იქ ვათევ. ღამით იქ ყოფნა საუცხოვო რამ არის: პაერი მსუბუქია, ახლო ჭალაში ბულბულები გალობენ, შორიდგან კი ლურჯათ მოსჩანს განუსაზღვრელი ზღვა. ჭარისაგან აზვირთებულნი ტალ ღები განუწყვეტლივ ხმაურობენ, და რაღაც სევდიან სიმღერას დუდუნებენ. იქ კარგია, წავიდეთ, ლოგინიც რბილია, შენთვის ხმელ ფოთლებს გავშლი. სასაუზმო სტოლი ჭვისაა, წავიდეთ.

ვაქხიდი დაიჭმუხნა, მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდა; დაეთანხმა. და წავიდნენ.

მრთად დიდხანს ვერ იცხოვრეს. პირველ ღამესვე ვაქხიდმა ერთი წამი ვერ დაიძინა: გვერდიდგან გვერდზე ტრიალდებოდა და აგონ დებოდა, თუ როგორ ტბილად განისვენებდა ის წინედ რბილს ბალიშებსა და ბუმბულებზედ.

დილას ადგნენ. უნდა ისაუზმონ. დიოგენმა ხილი დაჭკრიფა, გუდიდგან პური

ამოილო, თვითონაც სჭამა და სტუმარსაც მი-  
თვე გაუმასპინძლდა.

ვაქხილმა გასინჯა, არ იამა. დიოგენი  
გამოძღვა, ვაქხილი კი მხოლოდ ოხრავს  
და უწინდელ საღილებს იგონებს. ეს, ფიქრობს  
დიოგენი, ჩემი სტუმარი — მოწაფე აქ დიდხანს  
ვერ იცხოვრებს. ჩემი სწავლა მას არ მოეწონება.

მაინც დაუწყო საუბარი მის შესახებ, თუ  
როგორ უნდა იცხოვოს მან ეხლა. მხოლოდ  
იმისი მოწაფე ყურს არ უგდებდა, დიოგენმაც  
თავი დაანება.

ზამოქვაბულის ახლო, საღაც დიოგენი  
სცხოვრებდა, ზღვის პირად იდგა მეოვეზის ქო-  
ხი. მასში სცხოვრებდა მეოვეზე ცოლითა. და  
სამი ქალით. დიოგენი და ვაქხილი გამოქვა-  
ბულიდგან გამოვიდნენ და ზღვის პირად წავი  
დნენ. მეოვეზის ქალები ამზროს ქოხის ახლო  
ისხდნენ და ბადეს აკერებდნენ. ვაქხილმა დაი-  
ნახა ისინი და ხვინტრიცის გუნებაზედ მოვიდა.

— ჩქარა წავიდეთ მათთან, მე მსურს ამ  
ლამაზებს ახლოდგან უცქირო, — სოჭვა მან და  
თვალები გაუბრწყინდა.

— უკვე, გარყვნილო ბებერო, იფიქრა დიო-  
გენმა. — ჩემსავით ცხოვრებას შენ ვერ ისწავლი,  
თუმც ამნაირი სისულელე არ მოგიშორებია.

ვაქხიდი ესაუბრა ქალიშეილებს, რომლების შა-  
შაც სახლში არ იყო, მერჩე დიოგენს  
კორინთში წაჰყვა. დიოგენი თავის ბა-  
ტონთან, ქსენიადთან მიერდა, ვაქხიდმა კი ქა-  
ლაქში დაიწყო ტანტალი.

საღამოს დიოგენი ისევ გამოქვაბულში  
დაბრუნდა. ვაქხიდი იქ იჯდა, მას ელოდებო-  
და, დიოგენი რომ დაინახა, წამოხტა, წინ მიე-  
გება და მხიარულად უთხრა;

დიოგენო, მე თავის შესაქცევი საჭმე ვიშოვე!  
— რა ამბავია, რა საჭმე?

— ქორინთში შევხდი ერთს მღილრის მონას.  
გავეცან და ბაასი დავიწყეთ. მან მიამბო, რომ  
ის გამოგზავნა ახალგაზრდა ბატონმა ოთახის  
საშოვრად ერთი ლამით,—სურს ამხანაგებთან  
იქეიფოს. მონამ მთელი ქალაქი დაიარა და  
შესაფერი ოთახი ვერ იპოვნა. მე დავეხმარე და  
მოვიყვანე ამ მეთევზის ქოხში. მამა იმათი სა-  
თევზაოდ წასულა სამი დღის ვალით. დედა და  
ქალები სიხარულით დაგვეთანხმენ; აი, გავაწყეთ  
საჭმე. სამაგალითო მხიარულება გვექნება. წას-  
რული დრო მოვიგონოთ!

— მშვიდობით, ვაქხიდო,—წყენით, უთხრა  
დიოგენმა; — ეხლა მე შენთვის საჭირო აღარა  
ვარ, ამ გზით ვერ გაგყვები. შენი ამხანაგი

აღარა ვარ. მენანება, რომ საზაფხულო სახლი  
წამართვი. ეხლა მე აქ მოსვლა შემჩრდება.  
მშეიღობით, ავათ ნუ მომისენიებ.

და დიოგენი კორინთში დაბრუნდა.

## XII.

### გაასი დიოგენისა ფილოხედთან ურთისა და სიმღიდის შესახებ

დიოგენი ჰკიცხავდა. მტიღრებს იმათი მე-  
ტიდურობისა და მცონარეობისაგამო; ისინი  
კი ჯავრობდნენ და ილტვოდენ მისგან,  
ხოლო დიოგენის ჭეშმარიტი სიტყვები სინდისს  
ულვიძებდა მათ, ისევ ბრუნდებოდნენ დიოგენ-  
თან და ხელა ხლა იწყებლნენ მასთან საუბარს.

პმგეარად მივიღა მასთან ერთხელ მდიდა-  
რი ფილომედონი. არა ერთხელ ესაუბრნა  
მასთან დიოგენს, და უ, კიდევ მოვიღა იუი.  
მას სურდა დიოგენისთვის დაემტკიცებინა, რომ  
იმნაირნი მდიდარნი, როგორიც ის არის პატი-  
ვისცემის ღირსნი არიან.

— ნუ თუ გვონია, დიოგენო, რომ ჩემი ცხო-  
ვრება მუქდად იკარგება?

— Արզուս, շնասակ, դուռցենմա; — մեռլող  
մյ զգովնոծ, հոմ տպութայլու Շացո մյ՛՛ Շա,  
մագալուտադ, Բյուլու մէօլազո, Շենչել մյէրալ  
լուրսու Քաტուզու լուրսու.

— Իստո՞ւ հուստպու? — Մյմապութուլու Բա-  
մուսակ, գուլումյըլոնմա.

— Ես Տշավրոծ, գուլումյըլոն. մյ մագու  
զյ՛՛ Շեմա՛՛ մինց; մյ Տրմարտլու ցյունցնցի, — ցա-  
նացրու դուռցենմա. — Ռումբալու Շեն մյէրալ տապ-  
մուցարց եար, Շենս լա մյ՛՛ Շուրու ցանսեա-  
զենս մանց լանանաեազ. Բյուլու մէօլազո մյէրալ  
լուրսու, լա տէպյեն, մըլուրյըս ցմացու; — ուս  
մանց եալու յմսաեարյըս, Տարցեծլու մուշքու  
մուստպու. Շեն յո ածա հա Տարցեծլու. մոցայքու  
եալուստպու? Շենս Տաեթց մյ ցաջավրյըս նո՛՛ մինց  
վելազ; հուստպու? մագաս տապու լանցնցի, Տշանձու  
մյըցուրուլու զուսայնուրու, Շեն պուզըլ Բլո-  
ծուտ եարչազ արա նակլյեթ ուրմուսու Ծալոա՛՛ Ծո-  
սա, յս յո գլուխրալ Շյալցենս ճս մանցու.

Մյրյ հոս? — ցա՛՛ պուզըլ մուստպու; —  
մյ Շենտպուսապ յես յազ մեսուրս, լա տպու Շենս եար  
լանցնա՛՛ մազ, հոմ արա ցսուրս հյմու Ցուր-մարուլուտ  
ուսարցեծլու; մյ լուրսունու հյմու և լուրսունու ցո՛՛-  
զազլու, մագրամ Շեն մյէրալ տապ-մուցարց եար լա  
մյուլամ յարս մյունցնցի.

— არა, მე თავ-მოყვარე კი არა ვარ, ფილომედონ, არამედ მშვიდი ვარ, მე არა მსურს და არც შემიძლია გულისტქმათ ავყვე. მე ამნაირ ნდომათაგან თავისუფალი ვარ, და ჩემს თავისუფლებას არავითარ განძხე არ ჭავსცლი.

— ღიოგენო, თავის თავს მონად არც მე ვსცნობ. სიმდიდრე ჩემთან მოდის ისე, თითქმ ციდგან მრცვივოდეს, მე მხოლოდ არ ვაძევებ მას ჩემგან, ვსტკბები მით, და მე ისეთივე თავისუფალი ვარ, როგორც შენა.

— ჩვენი შედარება შეუძლებელია. ყოველივე, რასაც შენ აოხრებ, ვისმე ხომ ერთმევა. მე კი არავისგან არაფერს არ ვიღებ.

— მაგრამ ჩემი შემოსავალი უფლებით მე მეკუთვნის.

— მიღეც რომ გქონდეს უფლება ყველა ეს სიმდიდრე იუფლო, უბრალო სამართლიანობა მაინც მოითხოვს, ცოტა რამ ხალხსაც უნდა მისცე. რავდენ შელავათს, სარგებლობას და უფლებას გაძლევს შენ სიმდიდრე! რით უხდი შენ ხალხს, რომელმაც მოგცა ყოველივე ესა?

— შენც ხომ, ღიოგენო, ბევრს სარგებლობას იღებ ხალხისაგან. შენ რიღათი უხდი?

ამაშიაც დიდი განსხვავებაა ჩვენს შორის. შეხედე რით ვსარგებლობ ხალხისაგან. მე ვსა-

ჭიროებ მხოლოდ მას, რომ ნება მომცენ  
ჰაერი ვისუნთქო, წმინდა წყალი ვსვა, და სი-  
მშილით არ მოვკვდე, ამისთვის კი შენც იცი,  
რა ცოტა მჭირდება. ტანთსაცმელი მდიდრუ-  
ლი არ მაცვია; მე დარწმუნებული ვარ, რომ  
ხალხი, მათ შორის ჩემი მეზობელნი, კორინ-  
თილნი, ნებას მომცემენ ვატარო ასეთი ტანთ-  
საცმელი. თუმც ამ უკანასკნელ ტანთსაცმელსაც  
წამართმევენ, ტიტველი დავრჩები, და ჩემი  
სიტიტველის მზერას რომ ვერ აიტანენ, პირვე-  
ლი შემხვედრი დაფარავს ჩემს სხეულს რითმე,  
და მე ისევ შევიმოსები. თუმც სიმშილისაგან  
ვიქენ ტანჯული, თეით ჩემი დაბნედილი შეხე-  
ლულობა სიბრალულს აღძრავს ხალხში, და  
გამომკვებავენ. ამაში მე დარწმუნებული ვარ,  
ამიტომაცა ვარ მოსვენებული, და თავის თავს  
სრულად უზრუნველ ყოფილად ვსოვლი.  
ამნაირ მყუდროებამდის რომ მიახწიო, ძლიერ  
ცოტა უნდა გქონდეს, ისე ცოტა, რომ  
თვითოეულ ღარიბს მეტი ჰქონდეს, ვინემ შენ,  
რათა შურით არავინ გიცქერდეს. მხოლოდ მა-  
შინ იქნები ბედნიერი. ეხლა დაეკითხე თავის  
თავს, ფილომედონო, რაებსა თხოულობ შენ ხალ  
ხისაგან? შენ ხომ კმაყოფილი არ იქნებოდი,  
ხალხი რომ შენც იმდენს გაძლევდეს, რავდენ-

საც მე. შენ მისგან ბევრად მეტს თხოულობს. ზოგმა მათგანმა ყანები უნდა მოგიხნას, ზოგმა ჯოგი უნდა გიმწყესოს, სხვებმა კი შენს ქარხნებში უნდა იმუშაონ, გიქსოვონ და გიკერონ ძვირფასი ტანთსაცმელები ანუ ხალიჩები, რომელთაც ოთახებში ჰყენ და შემდეგ ფეხებითა სთელავ. შენ თხოულობს, რომ ხალხმა საჭმელი გიმზადოს, უენახი გაგიშენოს, შენ კი იმისი წვნით თვრები. შენ თხოულობს, რომ წარმოდგენები გამართონ და შენი საყვარელი სიმღერები გიმღერონ... ერთი სიტყვით თხოულობ ყოველივეს, რაც კი გჭირდება, საჭიროება კი ბევრი გაქვს! ყველა ეს სხვებმა უნდა მოგცენ. შენ კი გდიხარ და არაფერს აკეთებ, არაფერს, გარდა მისა, რომ სვამ, არშიყობ, გძინავს და ბრძანებლობ, და ყოველივე ამას ჩადიხარ შენი ორმოცი ტალანტის შემწეობით, რომელიც იმავე ხალხისაგან გაქვს აღებული. ხალხისადმი შენი მოვალეობა დიდი არის, ხოლო შენ მასზედ არც კი ფიქრობ. შენ უფრო მასზედ ფიქრობ, რა საჭმელებს მოგართმევენ დღეს საღილათ.

— შენ, დიოგენო ვგონებ გავიწყდება, რომ ამაებს მე მიკეთებენ ანუ მონანი, და ამისათვის მე ვკვებავ მათ, ანუ მოჯამაგირენი, — და

მათ სასყიდელს ვაძლევ პარობისამებრ.

— აგრეა, მხოლოდ ნუ დაგავიწყდება, რომ  
შენ კი უშვრები მათ სიკეთეს, როცა ფულებს  
აძლევ, არამედ ისინი შენ, რომ შენთვის მუშაობენ.  
შენ მონებს თავის საკუთრებად სთვლი, მაგ-  
რამ ისინიც ხომ ადამიანები არიან, როგორც  
შენ, მხოლოდ ძალა ანუ გაჭირება ამორჩილებს  
მათ შენს ჟინს. მოჯამაგირენიც აგრე არიან,  
შენ გგონია, მოჯამაგირედ შენს შორის თავი-  
სუფალი პირობა მოქმედობს, რომლის ძალით  
შენ მათ აძლევ სასყიდელს, ისინი კი გაძლევენ  
თავის შრომის ნაწარმოებს. თავის თავს ნუ  
ატყუებ! ესეც შონობაა, მხოლოდ ნაცვლად  
მათრახისა, რომლითაც მონებს ამუშავებენ, აქ  
ფული მოქმედებს. უული ხანდახან მათრახ-  
ზედ უმწარესად იცემება. შენ უქმობის გამო  
მოგწყინდა, არსების პურის მოსაპოვებლად  
შრომა არ გჭირდება. ის მზა-მზარეულად გი-  
ვარდება პირში, და შენც, მოწყენილობა რომ  
გაფანტო, რაღაცაებს გამოიგონებ. შენი სურ-  
ვილი მყისვე სრულდება და, რაკი ის მოგწყინ-  
დება, სხვა ახლებს გამოიგონებ. თუ კი რო-  
დისმე სინდისი გამხელს, წაუყრუებ და თავის  
გასამართლებლიად ამტკიცია, რომ შენი გამო-  
გონებანი ხალხისთვინ სასარგებლონი არიან;

შენ ერთი ხელით ლუპავ და რყვნი ხალხს, ხოლო მეორე ხელით კი ვითომ სიკეთეს ანიჭებ მას, მაგრამ იმნაირს, რომელსაც არავინ არა გთხოვს. ნეტავ რას იზამ, რომ რაიმე შემთხვევით იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდე, შენი ხელით დაგჭირდეს პურის მოპოვება? ეს ხომ შესაძლოა ყველას შეხვდეს. რას იზამ მაშინ? ხომ თითის განძრევაც არ შეგიძლია უმონოთ. მოიფიქრე ყველა ამათ შესახებ და გადასწყვიტე, ვის მოაქვს მეტი სარგებლობა არა მარტო ხალხისთვის, არამედ თავისთვისაც: შენ თუ უბრალო წყლის მზიდავს?

### XIII

უფლება და გოვალეობა ადამიანისა თავისი საზოგადოებისადმი.

ფილომედონი მეტად ჩატიქრდა, როცა დიოვენის სიტყვები მოისმინა, შემდეგ ისევ საუბარი განაგრძო. როცა ადამიანები გრძნობენ, რომ იმათ სიმართლეს ეუბნებიან, და არ იციან რა უპასუხონ, ხშირად ნაცვლად პასუხისა გაიძახიან: შენ კი რაღა ხარ? რისთვის არ შერები მას, რასაც ამბობო? ფილომედონიც ასე მოი-

ქუა. როცა დიოგენმა დაუმტკიცა მას, რომ წყლის მზიდავი მასზედ უფრო სასარგებლოა, იმან დიოგენსა ჰქითხა:

— შენ თვითონ რად გსურდა ყოფილიყავი? წყლის მზიდავად თუ იმნაირ მღიღრად, როგორც მე ვარ? დიოგენმა უპასუხა:

— არც ერთი, არც მეორე, მიტომ რომ მე კმაყოფილი ვარ თავისი მღვიმარეობით.

— მეც ხომ შემიძლია თავისი მღვიმარეობით კმაყოფილი ვიყო; რატომ მითითებ მზიდავზე და მირჩევ მისგან მაგალითი ავილო; თვითონ შენ კი მას არა ბაძავ. არც შენ მოგაქვს ხალხისთვინ სარგებლობა: არც მხატვარი ხარ, არც ხელოსანი, არც მეცნიერი და არცა მხვნელ-მთესველი. არავიათარ სამსახურში არა ხარ, შვილებიც არა გუვანან, მაშასადამე, ამ მხრითაც უსარგებლო ხარ. თავს რიღათი იმართლებ?

— თუ რა სარგებლობა მომაქვს მე, ამ შემთხვევაში ამაზედ შემდეგ ვილაპარაკოთ. ეხლა მხოლოდ ამას გეტყვი, რომ ჩემი და შენი შედარება შეუძლებელია; მე ჩემ მეზობელ კორინთელთაგან და სხვა ბერძნთაგან, აგრეთვე უველა ქვეყნის ხალხისაგან მხოლოდ ერთსა ვთხოულობ, რომ ცხოვრების ნება მომცენ ისე, როგორც მევუშლი მათ

ცხოვრებას. ამაზედ მეტს არას ვთხოულობ, მი  
ტომ, რომ მე არაფერი არა მაქვს. ადგილ-მა-  
მული არა მაქვს, არც სხვა რამ შემოსავალი,  
და ამიტომაც არ ვსაჭიროებ ძლიერთა მფარ-  
ველობასა.

— ძარგი მაგრამ შენი სამშობლო ქალაქ  
სინოპის არავითარი ვალი არა გაქვს?

— არავითარ განსხვავებას სინოპსა და კო-  
რინთს შორის, სადაც ეხლა ვცხოვრებ, მე არა  
ვხედავ. სადღაც ხომ უნდა დავგდებულვიყავ,  
და ის, რომ სინოპში დავიბადე, და არა ათინა-  
ში, ანუ რომში, უბრალო შემთხვევა არის.

— მაგრამ შენ ხომ სინოპში იზრდებოდი  
და სწავლობდი, მაშასადამე ცოტაოდენი სარ-  
გებლობა მაინც მიგილია მისგან.

— სასარგებლო შეგვიძლია უწოდოთ მხო-  
ლოდ კარგს აღზრდას, მე კი არ შემიძლია  
ამითი დავიკვეხო. იმან მე კინალამ დამლუბა,  
ნამდვილი აღზრდა შე ათინაში მივიღე — ჩემი  
მასწავლებელი ანტისფერისაგან, მაგრამ ისიც  
ხომ ათინაში სანახევროდ მშეერი იყო, ასე  
რომ ამისთვისაც არავისთანა ვარ დავალებული;  
ყველაზედ მეტად ვალტეჭული ვარ ჩემი საკუ-  
თარი გამოცდილებისა.

— შენი მშობელნი და წინაპარნი ხომ სი-

ნოპელნი იყვნენ, ასე რომ შენ მთლად სინოპს ეკუთვნი; შენ წევრი, ანუ მოქალაქე ხარ იმ საზოგადოებისა, ამიტომაც მას შეუძლია მოითხოვოს შენგან ასრულება სხვა და სხვა მოვალეობისა.

— არა, ეს აგრე არ არის. ის, რომ ჩემი წინაპარნი სინოპის მოქალაქენი იყვნენ, არ მავალებს, მეც იგივე ვიყო. ადამიანი არა დაბადებით ხდება მოქალაქედ, ანუ წევრად რომელიმე საზოგადოებისა, ბუნებით ადამიანი უველა თავისუფალია, დამოუკიდებელი და თანასწორი, მხოლოდ დაბადებიდგანვე მას ერთი მოვალეობა აძევს — თანაგრძნობა ურთიერთისადმი. წევრად, ანუ მოქალაქედ რომელიმე განკერძოებული საზოგადოებისა ის ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ამ საზოგადოებისაგან თხოულობს რაიმე სარგებლობას, როდესაც ის შედის მის მფარველობის ქვეშ. მე მფარველობას არ ვეძებ, არათერს არა ვთხოულობ არავითარ საზოგადოებისაგან, და მიტომაც თავს არ ვუწოდებ „მოქალაქედ“ სინოპისა, არც ათინისა, და არცა სპარტისა, მე მოქალაქე ვარ მთელი ქვეყნისა.

— მთელი ქვეყნის მოქალაქეობა რასა ნიშნავს?

— მს ნიშნავს იმისთანა კაცს, რომელიც, როგორც მე; არავითარ განკერძოვებულ საზოგადოებას არ ეკუთვნის, არამედ მთელ ქვეყანას თვის სამშობლოდ სთვლის და ყველა აღამიანს — თავის თანამემულედ, ანუ თავის ძმად, თუ გინდ დიდი განსხვავებაც იყოს მათ შორის ბუნებით, ენით, ანუ სხვა და სხვა ცხოვრების ჩვეულებით. ამნაირი კაცი თავის მოვალეობადა სთვლის ყველას უშველოს, ვინც კი საჭიროებს მის შემწეობაში და თუმც არ შეუძლია დაეხმაროს, თანაგრძნობას მაინც არ მოაკლებს. ის ცდილობს დაიხსნას კაცი განსაცდელისაგან, როცა ხედავს გზა დაბნეულს, და უხარია მასთან ერთად, ვინც ცხოვრებით კმაყოფილია.

ცრუ მორწმუნეობა, პირფერობა, ანგარება და სხვა ბიწიერებანი ჩვენგან განუშორებელია, როცა ჩვენ რომელიმე განსაკუთრებული საზოგადოებას ვეკუთვნით, და გვეშინია სახელი არ გაგვიტყდეს საზოგადოებაში, და მონურად ვასრულებთ მრავალ ამის უგუნურ ჩვეულებას. რაც ამ საზოგადოებაში მაღალ სათნოებათ ითვლება, ის გონების სამსჯავროს წინაშე უკანასკნელ ბიწიერებათ გვეჩვენება ის, ვისაც ერთი საზოგადოება ანუ სახელმ.

წითო ძეგლს უდგამს, მეორე სახელაწითოს  
ისტორიაში შთამომავლობის გასაკიცხად გარ-  
დაიცემა, როგორც კაცი ბოროტი და არა-  
წმინდა.

მხოლოდ მარტო მოქალაქეს სრულიად ქვე-  
ყნიერებისას შეუძლია ყველა აღამიანს ერთნა-  
ირად თანაუგრძნოს, ყველას სამართლიანად  
მოეპყრის; მისი მხურვალე გული პირფერობას  
და კერძოობას არ ემორჩილება, არამედ კაცობ-  
რიობის სიკეთისათვის მძლავრად სცემს. მისი გულ  
მოწყალეობა მთელ ბუნებას ეფინება. სიყვარულით  
უცქერს ის წყაროს, რომელიც მას წყურვილს  
უკლავს, ხეს, რომლის ჩრდილოსქვეშაც განის-  
ვენებს; ვინც უნდა მივიღეს მასთან, რა თემი-  
საც უნდა იყოს, ყველა მისი თანამემამულეა,  
და ამასთანავე, თუმც გულს გაუხსნის, მეგო-  
ბარიც არის.

აგეთი აღამიანი დაჩვეულია, გარდა უსა-  
ჭიროესისა, ყოველივე უარყოს, რაიცა სხვა  
აღამიანთ, მცონარეობით და მედიდურობით გარ-  
ყვნილთ, აუცილებელ საჭიროებად, მიაჩნიათ.  
ამიტომაც ამნაირ კაცს ყველგან ეაღვიზება  
ცხოვრება, და ის არავისთვის სამძიმო არ არის.  
ის, ვის ვუწოდებ მე მთელი ქვეყნიერების მოქა-  
ლაქედ, და ვცდილობ თვითონაც ამნაირი გავხდე.

შენ და შენი მსგავსი ადამიანი მე უსა  
რგებლოდა მთვლიან; მაგრამ ამაში თქვენვე  
ხართ დამნაშავე, მე მხოლოდ მიტომ მთვლით  
უსარგებლოდ, რომ თქვენს პატივმოყვარეობას  
ვერ ვაქებ, თქვენს სულელობაში მხარს არ  
გაჭლევთ და არ გირჩევთ იმ გზით სიარულს რო-  
მელიც თქვენი დამლუპველია. უგუნურნო და უმე-  
ცარნო დაფიქრდით: ნუ თუ მე თქვენ-  
თვის თვით ამ განკიცხვით სარგებლობა არ  
მომაქვს?

## XIV

### დიოგენი და ალექსანდრე მაკელონელი

— დიოგენი უკვე მოხუცებული იყო, როდესაც  
მაკედონიის ტახტზედ ავიდა გამოჩენილი მეფე  
ალექსანდრე, შვილი ფილიპესი. ახალგაზრდა მეფე  
მეტად კარგი მეომარი იყო და მყისვე საომრად  
გაემგზავრა. მას დაებადა აზრი მთელი ქვეყნის  
დაპყრობისა, რათა მარტო იმეტოს მასზედ. ამ  
განზრახვით შეკრიბა კარგათ შეიარაღებული  
ჯარი და გაემგზავრა. ომში ძლიერ გაიმარჯვა.  
ქალაქებს ზედაზედ იმორჩილებდა და ყევლას  
შიშის ზარსა სცემდა. ყევლაზედ უმაღ მას

და ემორჩილნენ ათონის და კორინთის მცხოვ-  
რებნი.

როცა ის კორინთს მოუახლოვდა, სადაც  
დიოგენი სცხოვრებდა, მრავალნი კორინთის  
სწავლულნი და ბრძენნი მიეგებნენ მეფეს თაყ-  
ვანის ცემით და შეამკეს ის სხვა და სხვა  
ნაირი სიტყვებითა, რათა მოეგოთ იმისი გული.

ალექსანდრეს ბევრი ჰქონდა გაგონილი  
დიოგენზე და ელოდა, რომ ისიც მივიღოდა  
მასთან თაყვანის საცემად; მაგრამ, რადგანაც  
დიოგენი არ საჭიროებდა მეფის წყალობას, არც  
მივიღა მასთან.

დიოგენი ბალში ხის ქვეშ განისვენებდა,  
შეე კი ათბობდა მის მოხუცს, მაგრამ ჯერ ისევ  
სალს სხეულს; ის ტკბილადა სოვლემდა, უეც-  
რად იგრძნო, რომ ვიღამაც მზე დაუჩრდილა.  
თვალები გააღო და თვის წინ დაინახა მშვე-  
ნიერი ყმაწვილი, ამალით გარ-შემორტყმული.  
მდიდრულ ჩაცმულობაზე და მეფურ მორთულო-  
ბაზე იცნო, ვინც იდგა მის წინაშე, მაგრამ  
სრულიადაც არ შეკრთა. ის ისევ იწვა, ალე-  
ქსანდრეს უცქერდა და ელოდა, რას ეტყვის  
მას ეს მოულოდნელი სტუმარი.

— შენა ხარ დიოგენი, რომელზედაც სა-  
ბერძნეთში ასე ბევრი განსაცვითრებელი ამბები

გავიგონე? — ჰკითხა ბოლოს ალექსანდრემ.

— ღიახ, მე გახლავარ ის დიოგენი. შენ კი, უთუოდ ალექსანდრე ხარ, შვილი ვილიპე მაკელონელისა.

— ღიაღ, გამოიცან.

— რა გნებავს ჩემგან, ხელახლად ჰკითხა დიოგენმა.

— მე გელოდი შენა, ვფიქრობდი ჩემთან სტუმრად მოხვიდოდი, რაკი არ მოხველ, მე თვითონ გნახე.

ალექსანდრე ფიქრობდა, რომ დიოგენი ამნაირი პატივისცემისთვის მადლობას მოახსენებდა მას, მაგრამ დიოგენმა არა უპასუხა რა. მაშინ ალექსანდრემ განაგრძო:

— არ შემიძლია რითიმე გემსახურო? ითხოვე, რაცა გსურს; ყოველივეს, რაც ჩემს მფლობელობაშია, შეგისრულებ. დიდებულ ბრძენთ ღრმა პატივსა ესცემ!

— თუმცა გსურს სამსახური გამიწიო, — უპასუხა დიოგენმა, — მზიდგან ჩამომეცალე, ნუ მიჩრდილავ მის სინათლეს და სიცხოველეს; ის სასიამოვნოდ ათბობს ჩემს. სხეულს.

ალექსანდრე განცვითრებით ჩამოეცალა, იმისი ამალაც ჩამოდგა, და ელოდა ბრძენის კადნიერ პასუხისთვის მეფის რისხვას. შაგრამ

ალექსანდრე არ გაჯავრებულია, მხოლოდ მის  
სახეზედ გამოიხატა მოწყენა და დიოგენს  
ჰკითხა:

— ნუ თუ ამაზედ მეტი არა შემიძლია რა  
შენთვის გავაკეთო?

— მეტი მე შენგან არათერი მინდა,—  
უპასუხა დიოგენმა. ალექსანდრემ ხელი გაუშ-  
ვირა დიოგენს და უთხრა:

— მშვიდობით! მე კი ჩემი ალთქმა უნდა  
შევასრულო, აღარ დავუშლი მზეს გაგათბოს.

შემდეგ მეფე შიუბრუნდა თავის ამაღლას  
და უთხრა:

— წავიდეთ, აქ მეტი საჭმე აღარათერი  
გვაქვს!

ალექსანდრე წავიდა და თან მხლებლე-  
ბიც გაჰყვენ. გზაზე ის ჩაფიქრებულიყო, არას  
ამბობდა, ამაღლა კი წმამალლა. აცხადებდა უკა-  
უოფილებას დიოგენის მოქმედების შესახებ და  
შფოთავდა მისი კაღნიერებისგამო. უეცრად  
ალექსანდრე შიუბრუნდა მათ და უთხრა:

— დაჩუმდით, და იცოდეთ, მე რომ ალექ-  
სანდრე მეფე არ ვიყო, დიოგენობას ვისურვებდი.

ალექსანდრე შეტად ჰკვიანი კაცი იყო  
და კარგათ გაიგო დიოგენის სიტყვები. ის  
მიხედა, რომ იმისი სიმღიდრე და ძლიერება

დიოგენს ვერას მისცემდნენ, — დიოგენი არამც  
თუ შურით უცქერის მას, არამედ თავის თავს  
მასზედ უმდიდრესად და უძლიერესად სთვლის,  
მიტომ რომ მას არაფერი სჭირდება; — დიოგენი  
რომ სთხოვდა, ჩამომეცალე, მზეს ნუ მიჩრდილა-  
ვო, არა მარტო ეს სთხოვა, არამედ მას უნდოდა  
ამითაც ეთქვა, რომ მეფური დიდება და ყველა  
ეგრედ წოდებული საქმენი, მედიდურობით განა-  
კუთნი ჰეშმარიტის მზის სინათლეს ჩრდილავენო.

ყოველივე ეს გაიგო ალექსანდრემ და  
ჩაფიქრდა; მაგრამ თავმოყვარეობა და მისწრა-  
ფება დიდებისადმი ისეთი ძლიერი იყო მასში,  
რომ დიოგენის სიტყვანი უნაყოფოდ დარჩენ.

ალექსანდრემ მაინც მოისურვა ერთხელ კიდევ  
ენაზა დიოგენი, და ლამე მიეიღა მასთან მარტოდ  
მარტო. მას სურდა დიოგენი დაჯერებინა, რათა  
გაპყოლოდა მას ომებში. ამისთანა შესამჩნევი ბრძე  
ნიჩემს ამალის მეტას გაამშვენიერებს, — ფიქრობდა  
ალექსანდრე, ამას გარდა ის დიდის სარგებლო-  
ბას მომიტანს მე მით, რომ სიმრუდე სხაგს და  
ყოველ ტროს სიმართლეს დაუფარავად მეტყვისო.

და აი, ერთხელ კიდევ მოვიდა იგი დიო-  
გენთან მარტო, უაბალით, და თხოვნა დაუწყო  
თან გაპყოლოდა. მაგრამ დიოგენმა კარგათ  
იცოდა, რომ სასახლეში ის დაპყარევს მას,

რაც მისთვის აგრე ძვირფასია — თავისუფლებას, და გადაჭრით უთხრა უარი.

— მეტად მწყინს, უპასუხა ალექსანდრემ, — შენ ჩემი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ბევრს მიშველიდი.

— რაში მდგომარეობს შენი განზრახვა?

— ჩემი სამშობლო, მაკედონია, ვიწროდ მეჩვენა. საომრად მივდივარ, მსურს დავიპყრა მთელი საბერძნეთი, მცირე აზია, სომხეთი, მიდია, ინდოეთი, ერთი სიტყვით, მთელი დედამიწა და მარტომ ვიმეფო მასზედ.

— თუ შენთვის მაკედონია ვიწროა და ახლო ბელ ქვეყნების დასაპყრობად მიღიხარ. მთელ ქვეყნას რომ დაიპყრობ, მაშინ ხომ ისიც ვიწროდ მოგეჩვენება, და მოისურვეს მზესა და მთვარემდის კიბე აღმართო, რათა ისინიც დაიმორჩილო.

— არა, შეუძლებელი რისთვის უნდა ვისურვო, ჩემი განზრახვა კი შესაძლებელია.

— შენ ახალგაზლა ხარ, ჭკვიანი და მამაცი. ჯარიც აღვილად გემორჩილება, აღვილი შესაძლებელია, ყველა სამეფონი დაიპყრა; მაგრამ სთქვი, შემდეგ როგორ უნდა მოექცე მათ?

— ამაზედ მე კიდევაც მოვითიქრე: უდაბურ აღგილებში ავაშენებ ახალქალაქებს და სოფლებს, მათ შევაერთებ მოხერხებული გზებითა, მოვიზიდავ ხალხს იმ ადგილებიდგან, სა-

სადაც ბევრნი არიან; ყველა ჩემ ქვეშევრდომთ  
მივცემ ახალ და უმჯობეს კანონებს. რათა  
ყველას მართვა-გაგება გამიაღვილდეს, ჩემს სამ  
ფლობელოს შუა აღვილას ავაშენებ დიდ ქა-  
ლაქს, რომელიც ჩემი სატახტო იქნება. ამნაი-  
რად მე დავამყარებ წესიერებას და ყველა კარ  
გათ იცხოვრებს. მე ვგრძნობ, რომ ამაების შე-  
სასრულებლად ძალა და ნიჭი მაქვს ლმერთე-  
ბიდგან მომაღლებული.

— დიდხანსა ფიქრობ აგრე იმეფო? ჰკითხა  
დიოგენმა.

— არ ვიცი, მაგრამ რა, თუმც ადრე მოვკ-  
დები, ჩემს საქმეს განაგრძობენ ჩემი მემკვიდრე-  
ნი, თუ ლირსნი იქნებიან ამისა თუნდაც რომ ჩემი  
სიკვდილის შემდეგ ყოველივე ჩემი განზრახვა  
ჩაიფუშოს, მე მაინც უკვდავი სახელი და დი-  
დება დამრჩება.

— შენ, ალექსანდრე, გსურს დაიმორჩილო  
რამდენიმე ასი მილიონი, ეს ხომ აღვილი არ  
არის; რავდენი კაცის სისხლის დაღვრა მოგინ-  
დება, სანამ ამას შეასრულებდე, ნუ თუ ამა-  
ზედ არ გიფიქრია?

— მართლა რომ ცოდვაა, ბევრი კაცი დაი-  
ლუპები, მაგრამ მე ეს ვერ შემაფერხებს. ხალხი  
ნაყოფიერია, ისევ გამრავლდება.

— ვხედავ, რომ შენ გამსჭვალული ხარ ცხა  
რე სურვილითა, და შენი დაჯერება მე არ შე-

მიძლია. მაგრამ დაგარიგებ კი: ნუ დაგავიწყდება, რომ ყველანი როდი გემაღრიელებიან, არა მედ ბეჭრნი კიდევაც გწყევლიან და გკიცხავენ; ისიც ნუ დაგავიწყდება, რომ უკანასკნელი შენი მონა ისე გრძნობს მწუხარებას და მხიარულებას, როგორც თვით შენ, და შენ მთელ შენს მეფურ დიდებაში ისეთივე უძლური ხარ, როგორც იგი: გახსოვდეს, რომ საჭიროა მხოლოდ ერთმა შენ მხედართაგანმა ისარი გტორცნოს, ან ერთმა მოსამსახურეთაგანმა სასმელში შხამი ჩაგიწვეთოს, რათა მტვრად იქცეს ყოველი შენი განზრახვა შენ გარს გახვევან პირმოთნენი. ისინი შენ ლვთაებრივ დიდებას გიძლვნიან ხოლმე და ის წამი, როცა შენ დაიჯერებ, რომ შენ მართლა უმეტესი ხარ, ვინემ უტრალო მომაკვდავი, იქნება წამად შენის დაღუპვისა.

— ალექსანდრე გულმოლგინედ უსმენდა დიაკვნს, რომლის სიტყვებმა მაზედ საშინლათ იმოქმედეს. მას სურდა სამაგიერო გადაეხადა ბრძნისთვის, და ნაღვლიანად, წამოიძახა:

— ნუ თუ მე არათრით შემიძლია გემსახურო, დოოგენო?

— მე არაფერი მჭირდება. მაგრამ შენ თვითონაც იცი, შენს სამეფოში რავდენი გაჭირებულია, თუმც გსურს მასდამოვნო, შეამსუ

ბუჭე, რავდენათაც შეგიძლია, იმათი გაჭივრებული მდგომარეობა

— დიოგენო, შენ ბეღნიერი ხარ, რომ 'არაფერი გჭირდება, მაგრამ ჩემი მეგობრობა მაინც მიიღე!

— მაპატიე, ალექსანდრე, მაგრამ მე არ შემიძლია არ ვითხრო ის, რასაც ვფიქრობ. მეფეს არ შეუძლია ვისიმე მეგობარი გახდეს და არც შეუძლია მეგობარი იყოლიოს.

— დიოგენო, შენთან თუ ცოტახანს კიდევ დავრჩი, ვგრძნობ, რომ სამუდამოდ შენს ქოხში დავიცდი შენთან საცხოვრებლად. მაგრამ ქვეყნისთვის ერთი დიოგენიც საკმაოა;

— მა არ ვიცი, მაგრამ ეს კი დაბეჯითებით ვიცი, რომ ორ ალექსანდრეს შორის ქვეყანა უთუოდ დაიღუპება.

— შენ მართალი ხარ, მოხუცო, ეშვიდობით!

და ისინი სამუდამოდ განშორდნენ ერთმანეთს.

## XV

მოცუცებულობა და სიკვდილი დიოგენისა.

დიოგენი მოხუცდა და სიკვდილის მოახლოვე ბას გრძნობდა. მას არასრულოს არ შინებია სიკვდილისა და მის მოსვლას გულმაგრად ელოდებოდა.

ხანდახან მოწაფენი ებაასებოდნენ მას სიკვდილის შესახებ და ჰკითხავდნენ ხოლმე, ეში-

ნია თუ არა მას სიკვდილისა. ამაზედ მათ დიო გენი უპასუხებდა; როგორ შეიძლება კაცმა სიკვდილს შეუშინდეს, როცა ის არავის და არას ღროს არ უნახავს?

დამშვიდებით იტანდა დიოგენი ზოგიერთების მუქარას, რომელნიც ზოგჯერ მის მოკვლას განიზრახავდნენ.

ერთხელ ქალაჭ ათინის მმართველმა კადნიერი პასუხისმოგვის დიოგენს ხმალი მოუქნია და თან შეჰყვირა: „მე შენ მოგკლავ“!

დიოგენმა მშვიდათ უპასუხა: „შეგიძლია მომკლა, მხოლოდ ამით ვერავის ვერ შეაშინებ, მიტომ რომ მორიელს ანუ რომელიმე ქვემდრომს, ვინდ შხამიან მცენარესაც შეუძლიან ესვე შეასრულოს“

როცა დიოგენი მეტად მოხუცდა და დაუძლურდა, ერთი მისი მოწაფეთაგანი, რომელმაც კარგათ ვერ გაიგო იმისი სწავლა-მოძღვრება, ურჩევდა დიოგენს დაეტოვებინა უბინაოდ ცხოვრება და მოხუცების ღროს მაინც დამშვიდებით ეცხოვრა) თავის მეგობრის სახლში. „ძლივს მიზანს მივუახლოვდი, ნუ თუ ეხლა, როცა ასე ცოტალა დამრჩენია, შენ გსურს, შევჩერდე და მთელი ჩემი ცხოვრების ნაშრომი დავლუპო“.

ზილამაც, რაკი იმისი სილარიბე და უსახლკარობა დაინახა, ჰკითხა: — მოგიფიქრნია მასზედ თუ ვინ უნდა დაგმარხოს?

დიოგენმა უპასუხა:

— იმან, ვისაც ჩემი ბინა მოუნდება.

მრთხელ დიოგენმა გაიგონა, რომ ერთი კაცი სწუხდა იმის შესახებ, რომ თავის საქშობლოში სიკვდილი არ მომიხდება.

დიოგენმა დაკინვით უთხრა მას:

— სულელო, ნუ თუ შენთვის სულ ერთი არ არის, რომელ ორმოშიაც გაიხრწნება შენი სხეული?

— როცა დაინახავდა, თუ როგორ ამკობდნენ გარდაცეალებულის სხეულს, სცხებდნენ სუნიან ნელ საცხებელთ და ასხურებდნენ სხვა და სხვა სუნნელოვანი რამეებით, დიოგენი ამბობდა.

— საკვირველი ხალხია, სიცოცხლეში, როცა ჯანმრთელი სხეულია საჭირო, ისანი ჰქანავენ მას თავდაუჭერლობითა და სხვა და სხვა ნებათა ღელვითა როცა კი მოკვდებიან, და სხეულიც მათთვის არაფრად გამოსადევია ცდილობენ, სამუდამოდ შეინახონ ისა.

მრთხელ დიოგენსა ჰკითხეს, როცა ის მოკვდება, რა უნდა უყონ იმის სხეულს? მან უპასუხა:

ახლოს ჯოხი დამიდევით, რათა მტაცებელი ნალირთ მოგერება შემეძლოს.

— მაშინ შენ ხომ ვერას იგრძნობ, როგორ შესძლებ ჯოხის მოხმარებას?

— მაშ რაღას მეკითხებით? თუმც ვერას ვიგრძნობ, სულ ერთი არ არის ჩემს სხეულს რასაც უზმენ? თუგინდ ქალლებმაც შესჭამონ, ჩემი სიკვდილი იმათ მაინც მოუტანს სარგებლობას, თუ ვინიცობა იმათაც აღარ მაღირსეს

ეს წყალობა, მაშინ მე დამმარხავს მზე, ქარი  
და წვიმა. რომელი მეფე იქნება, რომ ამნაირი  
დიდება არ შეშურდეს.

დიოგენმა ლრმა მოხუცებულობამდის იცო  
ცხლა. ოთხმოცდა ათი წლისა იყო, როცა  
გარდაიცვალა.

მრთხელ, დილით, დიოგენის მოწაფენი,  
ჩვეულებისამებრ, იმის ბინაზე მივიღნენ. ის  
თავის წამოსასხამში გახვეული იწვა და თით-  
ქო ეძინა. მოწაფენი განცვიფრდნენ, რომ  
დიოგენს ამდენი ხანი სძინავდა, რაიცა მას არას  
ღრმს არ მოსვლოდა. ცოტა დააცადეს, ბო-  
ლოს წამოსასხამი გადახადეს, და მათდა სამწუ-  
ხაროდ მასწავლებელი მკვდარი დახვდათ. მათ ისე  
მტკიცედ სწამდათ მასწავლებლის სულის ძლიერე-  
ბა, რომ ურთიერთ შორის ამბობდნენ, ვითომც მას-  
წავლებელი თავის ნებით მოკვდა, ე. ი. მხოლოდ  
მიტომ, რომ აღარა სურდა მეტი ეცოცხლაო.

იმისი სხეული დასაფლავეს კორინთში  
და ზედ დაადგეს ბრინჯაოს ძეგლი წარწერით:  
დრო და ჟამი სჭამს ქვასაცა და ბრინჯაოსაც  
ხოლო სიტყვანი შენნი, დიოგენო, დაშთებიან  
უკუნისამდე. შენ ხალხს ასწავებდი სიკეთეს, რო-  
მელსაც ისინი თვით შესძლებენ მიაღწიონ, შენ  
მათ უჩვენე საშვალებანი მშეიდი და მხიარული  
ცხოვრებისა.“



გამოკიდა და ისუიდება ქმ. თავართქილაძეთა  
წიგნის მაღაზის გამოცემა შემდეგი წიგნები:

1,	ვეფხისტყაოსანი	22	სურათ.	კარგი	კალ.	80	კ.
	იგრევე მდარე ქალალდზედ					70	"
	შუკუნიერს ყდაში				1 ა.	20	
2,	ალი-ფაშა თავდგირიძე					10	"
3,	ჩხერი ერთი კვერცხისათვის					3	"
4,	ანდერსენის ზღაპრები I წიგნი					10	"
5,	ციხე, სურათებიანი წიგნი					5	"
6,	ანდერსენის ზღაპრები II წიგნი					10	"
7,	ა. ცაგარლის ოხზულებანი I წიგ.					50	"
8,	დემონი, სურათებიანი წიგნი					10	"
9,	მარგარიტა გოტი					40	"
10,	ქალები					20	"
11,	კნ. ნ. ორბელიანის ლექსები					50	"
12,	საჩუქარი					5	,
13,	მოლალატე ქმა					10	,
14,	ზღაპრები და არავები					10	"
15,	ჩვენი დროის ეროვნება					10	"
16,	ანუკა ბატონიშვილი					10	"
17,	საბერძნეთის ბრძენი დიოგენი					10	"
	და სხვა და სხვა.						